"ჩვენ დავიწყოთ!" - სთავაზობენ "ნაციონალები" "ტრადიციონალებს" A2

დაემორჩილეთ ბრძანებულებას: გათბით უსაფრთხოდ A4

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა A7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გილოცავთ შობას!

ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო!

ლიანა ხარაბაძე/ფოტო

ბიუჯეტი მეორე წრეზე

ისწავლა თუ არა ხელისუფლებამ რამე საკუთარ შეცდომაზე?

გიორგი ასანიშვილი

ზედმეტი თავდაჯერებულება შეიძლება მარცხის მიზეზი გახდეს. დაახლოებით ასე დაემართა ხელისუფლებას ამ ათიოდე დღის წინათ. კანცელარიასა და პარლამენტის პროსამთავრობო ფრაქციებში იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მისაღებად საჭირო ხმების მოგროვებაში, რომ სიფხიზლე მოადუნეს და წლის მთავარი ეკონომიკური კანონი ჩაუვარდათ. სახელისუფლებო ფრაქციათა წარმომადგენლები ოპტიმიზმის ნაკლებობას არც ახლა უჩივიან.

"ბიუჯეტი მეორე ცდაზე აუცილებლად გავა", - აცხადებს ფრაქცია "ალიანსი ახალი საქართველოსთვის" თავმჯდომარე ირაკლი გოგავა. გასული წლის 28 დეკემბერს განცდილი მარცხის მთავარ მიზეზად იგი "ნაკლებად მობილიზებულობას" ასახელებს და შენიშნავს: **"მაშინ ცოტა უკეთ ორგანიზებულები რომ ვყოფილიყავით, ბიუჯეტის პროექტი, სულ ცოტა, 125 ხმით გავიდოდა".**

"ალიანსის" ხელმძღვანელის თქმით, რაიმე განსაკუთრებული ზომების მიღება არც ახლაა საჭირო და ბიუჯეტის მისაღებად ისიც საკმარისი იქნება, თუ ფრაქციების ლიდერები კენჭისყრის მომენტისთვის სხდომათა დარბაზში თავისი ყველა წევრის შეკრებას მოახერხებენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

ვისია, ვისია, დროშა ჭვრიანი?

"ერთი შტრიხის შეცვლაც კი ახალ ჰერალდიკურ სიმბოლოს ნიშნავს"

ეთერ მამულაშვილი

ქართველი ისტორიკოსებისა და ჰერალდიკოსების ერთი ნაწილი მერიის შენობის თავზე აღმართული ხუთჯვრიანი თეთრ-წითელი დროშის დაკანონებასა და სახელმწიფო დროშად გამოცხადებას მოითხოვენ. გუშინ ისინი, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ხუთჯვრიანი დროშის ქართულ წარმომავლობას სხვადასხვა ვიზუალური და წერილობითი დოკუმენტური მასალის დახმარებით ამტკიცებდნენ.

შეგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებამ, დედაქალაქის მერიის შენობის თავზე ხუთჯვრიანი დროშის გამოკიდებამ, განსაკუთრებით გააღიზიანა პარლამენტარი გურამ შარაძე და მისი თანამოაზრეები. პარლამენტარმა დროშის ჩამოხსნის მოთხოვნით კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს ახალი წლის წინა დღეებში მიმართა. სასამართლო პროცესი იანვრის ბოლომდე დაიწყება.

პარლამენტარი და მისი მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ მერიის თავზე აფრიალებული წითელ ჯვრებიანი დროშა კათოლიკური წარმოშობის არის, რასაც არ ეთანხმებიან ისტორიკოსთა ერთი ნაწილი და საპატრიარქოს წარმომადგენლები. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა დავით მუსხელიშვილმა წარმოადგინა ბოჭორმის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის, რომლის საკურთხევლის ფასადზე დაცულია ხუთჯვრიანი რელიეფური გამოსახულება, ფოტო-მასალა. აკადემიკოსის თქმით ხუთჯვრიანი დროშა ამოტვიფრულია ხარაგაულის რაიონში, ჩხერის წმიდა გიორგის მე-13-14 საუკუნის ეკლესიის ერთ-ერთ კედელზეც. ორი წლის წინ კი დმანისის არქეოლოგიური გათხრების შედეგად

გაგრძელება A4 გვერდზე

პარლამენტმა ბიუჯეტის არარსებულ კანონპროექტს უყარა კენჭი

სოფო კვინტრაძე

"მთავრობასა და პარლამენტს შორის პოლიტიკური ბლეფი შედგა. 29 დეკემბერს, პარლამენტის საგანგებო სესიაზე პირველი მოსმენით ჩავარდნილი ე.წ. 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი სინამდვილეში მხოლოდ რამდენიმე გვერდიანი ცხრილია. საქართველოს მთავრობამ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტი არ მოამზადა," – ამგვარი ხმამაღალი განცხადებებით გამოვიდნენ ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრები გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული კოალიციური პროექტის - "გამჭირვალე ბიუჯეტის" ხელმძღვანელი თემურ მიმინოშვილი აცხადებს, რომ საქართველოს 12-წლიან საბიუჯეტო სისტემაში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა - მთავრობამ ბიუჯეტის კანონპროექტი არ მოამზადა. ახალგაზრდა ეკონომისტები, რომლებიც ბიუჯეტის მონიტორინგს იწყებენ, აცხადებენ, რომ 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტთან დაკავშირებული პროცედურები თავიდანვე დარღვა. როგორც ცნობილია, 2002 წლის 30 სექტემბერს მთავრობამ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადაში წარუდგინა პარლამენტს 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი. მას შემდეგ, რაც კანონპროექტი განიხილეს კომიტეტებისა და ბიუროს სხდომებზე, თანდართული შენიშვნებით იგი კვლავ მთავრობას

გაგრძელება A4 გვერდზე

პოლიტიკა

ზეიმი მაჟორიტარების ქუჩაზე - ხელისუფლება მათ "მარადიულობას" ჰპირდება

ხელისუფლება ოპოზიციასა და საერთოდ, მთელ მოსახლეობას დიდ პოლიტიკურ სიურპრიზს უმზადებს. სავარაუდოდ, გაზაფხულზე, პარლამენტს დასამტკიცებლად შესთავაზებენ საკონსტიტუციო ცვლილების პროექტს, რომლის მიხედვითაც 85 მაჟორიტარ დეპუტატს უფლებამოსილების ვადა რამდენიმე წლით, იმ დრომდე გაუგრძელდება, ვიდრე საკანონმდებლო ორგანო ორპალატიანი გახდება და სენატის არჩევნები გაიმართება.

A2

ამინდი

თბილისი	12 ◌
ქუთაისი	12 ◌
ბათუმი	14 ◌
სოხუმი	10 ◌
ფოთი	12 ◌
თელავი	11 ◌
ზუგდიდი	11 ◌
გორი	8 ◌
ახმეტა	9 ◌
ჭიათურა	9 ◌
გაბრა	9 ◌
სამტრედია	12 ◌

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1119
ევრო	2.1928
გირვანქა სტერლინგი	3.3826
რუბლი	0.0664

ქუთაისელი მოსამართლეები „კანონიერმა ქურდებმა" სცემეს

ბექა სისაური

ქუთაისიდან

პირველ იანვარს ქუთაისში, რესტორან "ტირიფებში" მეტად ჭრელი საზოგადოება შეიკრიბა. მართალია სხვადასხვა მაგიდებთან, მაგრამ ერთ დარბაზში ისხდნენ ქუთაისის მერი ნუგზარ ფალიანი, ქალაქის ყველა ვიცე-მერი, საკრებულოს წევრები, მოსამართლეები და "კანონიერი ქურდები". თითქოს არაფერი განსაკუთრებული, ერთი შემთხვევა რომ არა. "კანონიერმა ქურდებმა" ქუთაისის საოლქო სასამართლოს ორი მოსამართლე - ზაალ მარუაშვილი და დავით სვანაძე რესტორნის ფოიეში გაიყვანეს და სასტიკად სცემეს. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, რესტორნის დარბაზში კრიმინალური ავტორიტეტებისა და მოსამართლეების მაგიდები ერთმანეთის გვერდით იდგა. ქუთაისის საოლქო სასამართლოს თვრამეტ და უზენაესი სასამართლოს ორ მოსამართლეს კრიმინალებისა და მათი ოჯახის წევრების თორმეტკაციანი სუფრის გვერდით ჯდომა არ უუკადრისიათ. თვითმხილველთა განმარტებით, დაახლოებით ღამის პირველი საათი იქნებოდა, როცა ქურდებმა საოლქო სასამართლოს მოსამართლეს ზაალ მარუაშვილს გარეთ გაყოლა სთხოვეს. მარუაშვილს თან კოლეგები - ვერა დოლიძე და დათო სვანაძე გაჰყვნენ. ფოიეში გასული მარუაშვილი და სვანაძე სასტიკად სცემეს. განსაკუთრებით მარუაშვილი დაზიანდა. იგი რესტორნიდან პირდაპირ საავადმყოფოში გადაიყვანეს და დღემდე ვერ ლაპარაკობს, რის გამოც მასთან გასაუბრება შეუძლებელი აღმოჩნდა. ორივე მოსამართლეს მრავლობითი მოტეხილობები აღენიშნებათ. ამჟამად ისინი მკურნალობას სახლში გადიან.

მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე რატომღაც ორი დღის დაგვიანებით - სამ იანვარს ქუთაისის საოლქო პროკურატურაში ხულიგნობის მუხლით აღიძრა. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ეჭვმიტანილი – "კანონიერი ქურდი" გია ზვიადაძეა დაკავებული.

რაც შეეხება რესტორან "ტირიფებს": იგი ქუთაისის ვიცე-მერს დავით სანიკიძეს ეკუთვნის, რომელიც

გაგრძელება A4 გვერდზე

ახალი წელი ისრაელში სისხლიანი ტერაქტით დაიწყო

5 იანვარს თელ-ავივში ავტობუსის გაჩერებაზე ორმა ტერორისტმა-კამიკაძემ თავი აიფეთქა. ტერაქტის შედეგად 23 ადამიანი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო 100-ზე მეტმა სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო. ზოგიერთი მათგანი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. მომხდარზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფებამ "ისლამურმა ჯიჰადმა" აიღო. ასეთი მასშტაბის ტერაქტი თელ-ავივში გასული წლის ნოემბრის შემდეგ არ განხორციელებულა. სპეციალისტები ამბობენ, რომ ამჟამინდელი ტერაქტის ხელწერა თითქმის მთლიანად ემთხვევა გასული წლის ივლისში ამავე რაიონში განხორციელებულ ტერორისტულ აქტს.

მომხდარიდან რამდენიმე წუთში ისრაელის მთავრობაში სრული მობილიზაცია გამოცხადდა. არმიას ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერების ბრძანება მიეცა. ისრაელის რადიოს ცნობით, პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა და მისი კაბინეტის მაღალი თანამდებობის წევრებმა ერთხმად მოიწონეს პალესტინელ მებრძოლებზე შეტევის გეგმა, თუმცა, ამავე დროს უარყვეს საგარეო საქმეთა მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს წინადადება იასირ

გაგრძელება A2 გვერდზე

მოკლედ

თბილისი. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობას ერთი თვის განმავლობაში დეპარტამენტის გენერალური შტაბის უფროსი კორნელი სალია შეასრულებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ სოხუმს ეწვია საქართველოში გაერო-ს სამხედრო დამკვირველებთა მისიის (UNOMIG) ხელმძღვანელის მოადგილე როზა ოტუმბაევა, სადაც აფხაზთა ტყვეობაში მყოფი 4 ქართველის გათავისუფლებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს გამართავს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

სოხუმი. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 410,11 მილიონ რუბლს შეადგენს. წინა ბიუჯეტისგან განსხვავებით მიმდინარე წლის ბიუჯეტი უდეფიციტოა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

ზუგდიდი. ზუგდიდში განთავსებულმა აფხაზეთიდან დევნილებმა გუშინ ენგურის ხიდზე მოძრაობა გადაკეტეს. დევნილთა საკოორდინაციო შტაბში აცნობეს, დილის 6 საათიდან ხიდზე ავტომობილებისათვის მოძრაობა მთლიანად შეწყვეტილია.

საკოორდინაციო საბჭოს წევრთა განცხადებით, ამ სახით დევნილები პროტესტს გამოთქვამენ რუსეთსა და აფხაზეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის გამო, ასევე ეწინააღმდეგებიან რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას აფხაზეთის მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობა სამხედრო-საზღვაო ძალების მეხუთედით შემცირებას გეგმავს. ამ უწყების პრესსამსახურების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შემცირების მიზეზი ფლოტის მძიმე მატერიალურ-ფინანსური მდგომარეობაა.

რაც შეეხება საქართველოს, ეს შემცირება ჩვენს ქვეყანაზე არანაირად იმოქმედებს, რადგან რუსული სამხედრო ხომალდების რაოდენობა საქართველოს აკვატორიაზე ისედაც მინიმალურია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ბერძნული კომპანია „ინტერნეიშენალ პალას ნევიგეიშენელის“ ადვოკატმა გუშინ საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა წერილით, სადაც ნათქვამია, რომ სომალელ მეკობრეებთან მოლაპარაკებებში მან საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა და დახმარებას ამჟამად ქართულ მხარეს სთხოვს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველო — რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი ზაზა კანდელაკი ამ დღეებში საქართველოში რუსეთის ფედერაციის ახალ ელჩთან ვლადიმერ ჩხიკვიშვილთან პირველ სამუშაო შეხვედრას გამართავს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. საპარლამენტო ფრაქცია „ალიანსის“ ლიდერის ირაკლი გოგავას თქმით, უახლოეს მომავალში პრეზიდენტის მხარდამჭერი ფრაქციების - „თანადგომა“, „მოქალაქეთა კავშირი“, „ალიანსი“ - კოალიცია, რომელიც პარლამენტში კარგა ხანია არსებობს, ოფიციალურად გაფორმდება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

ლიტვა. მოულოდნელი შედეგებით დასრულდა ლიტვის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური. პრეზიდენტი ადამკუსი, რომელსაც ყველა იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, დამარცხდა ახლანდელ პრემიერ-მინისტრთან, მემარჯვენე როლანდას პაკასასთან. ამბობენ, რომ ადამკუსი მეტისმეტმა თვითდაჯერებამ იმსხვერპლა.

■ ■ ■

ერაყი. გუშინ სადამ ჰუსეინმა გაეროს განიარაღების ინსპექტორები ჯაშუშობაში დაადანაშაულა. რასაც ისინი აკეთებენ "სუფთა შპიონაჟია" – განაცხადა ერაყის დიქტატორმა. მისი თქმით, მასობრივი განადგურების იარაღის ნაცვლად, ინსპექტორები ერაყის რეგულარულ არმიაზე აგროვებენ ინფორმაციას.

ზეიმი მაჟორიტარების ქუჩაზე - ხელისუფლება მათ "მარადიულობას" ჰპირდება

ხელისუფლება ოპოზიციასა და საერთოდ, მთელ მოსახლეობას დიდ პოლიტიკურ სიურპრიზს უმზადებს. სავარაუდოდ, გაზაფხულზე, პარლამენტს დასამტკიცებლად შესთავაზებენ საკონსტიტუციო ცვლილების პროექტს, რომლის მიხედვითაც 85 მაჟორიტარ დეპუტატს უფლებამოსილების ვადა რამდენიმე წლით, იმ დრომდე გაუგრძელდება, ვიდრე საკანონმდებლო ორგანო ორპალატიანი გახდება და სენატის არჩევნები გაიმართება.

გიორგი ასანიშვილი

ცხადია, ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ ასეთი ნაბიჯი საზოგადოების დიდ ნაწილში აღფრთოვანების და გამოიწვევს და ამდენად, ამ "იდეის" "შიშველი" სახით გამომზეურება არამომგებიანია: მისთვის სასურველი გადაწყვეტილება კანცელარიამ ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტს, შესაძლოა, უპრობლემოდ მიაღებინოს, მაგრამ მის ანტიდემოკრატიულ შეფერილობას ვერაფერს მოუხერხებს. ამიტომ, მაჟორიტარი დეპუტატებისთვის უფლებამოსილების გაგრძელების თემა, ალბათ, უფრო სოუსი იქნება, რომლითაც შეაზავებენ და ყურადღებას გადაიტანენ ისეთ საკითხებზე, როგორებიც არის: მმართველობითი სისტემის სრულმასშტაბიანი რეფორმა, მინისტრთა კაბინეტის შეღება, საპარლამენტო ინსტიტუტის რეორგანიზება და ა.შ.

თუ რატომ სჭირდება მმართველ ძალას ამჟამინდელი მაჟორიტარებისთვის მანდატების შენარჩუნება, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ხელისუფლების ავტორიტეტისა და რეიტინგის დაცემის პირობებში, დიდია იმის ალბათობა, რომ საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობის უმრავლესობა ანტიშევარდნაძისტული ბანაკის წარმომადგენლებს დაუჭერს მხარს. ამდენად, ხელისუფლებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება საკანონმდებლო ორგანოში გარკვეული რაოდენობის მხარდამჭერების რეზერვის შექმნა. სამისოდ კი კანცელარიაში, როგორც ჩანს, უკეთესი გზა ვერ მონახეს, გარდა იმისა, რომ მაჟორიტარები "ხელოვნურ სუნთქვაზე" გადაეყვანათ.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების აბსოლუტური უმრავლესობა დღევანდელი მთავრობის პოლიტიკური ნების უსიტყვო შემსრულებელია. ასეთი საიმედო დასაყრდენის დაკარგვა მაშინ, როდესაც უკეთესი "კადრების" მოყვანის ოდნავი პერსპექტივაც კი არ არსებობს, აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის ლამის თვითმკვლელობის ტოლფასია. ამიტომ, მას ურჩევია კიდევ ერთხელ გაილანძღოს და კრიტიკის ობიექტად იქცეს, ვიდრე, დემოკრატიული ღირებულებების ერთგულებით, ყველაფერი დაკარგოს და მის მიერვე მომრავლებული პროლეტარიატის რიგები შეავსოს.

"ჩვენ დავიწყოთ!" - სთავაზობენ "ნაციონალები" "ტრადიციონალებს"

თამარ ხორბალაძე

"ჩვენ დავიწყოთ!" - უთქვამს ერთი კვირის წინ მიხეილ სააკაშვილს "ტრადიციონალისტებისთვის"... პარტიების წინასაარჩევნო გაერთიანებების დაწყებაზე გახლდათ საუბარი.

გუშინ ინფორმაცია "ნაციონალებთან" შესაძლო გაერთიანების შესახებ "ტრადიციონალისტებს" არ უარყვიათ, თუმცა აღნიშნეს, რომ ეს ამ ეტაპზე მხოლოდ იდეაა და ისიც, ჯერჯერობით, მხოლოდ ფრაქციების გაერთიანებას გულისხმობს.

არ აკეთებენ "ტრადიციონალისტები" კომენტარს არც მომავალი გაერთიანებული ფრაქციის შესაძლო თავმჯდომარედ აკაკი ასათიანის დანიშვნის შესაძლებლობაზე. მით უმეტეს, არ აკეთებს ამაზე კომენტარს "ნაციონალების" ფრაქციის დღევანდელი ხელმძღვანელი კოტე კემულარია.

გუშინ "ტრადიციონალისტები" ასევე ირწმუნებოდნენ, რომ საუბარია მასშტაბური გაერთიანების დაწყებაზე, ანუ წინასაარჩევნოდ ოპოზიციის დიდი ნაწილის, მათ შორის, შესაძლოა, პირველი დემარშისტების უმრავლესობის ერთიანი სიით გამოსვლაზე:

"ჩვენ გვჭირდება მომავალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა, რათა შევძლოთ ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის შეცვლა," - განუცხადა გუშინ "24 საათს" "ტრადიციონალისტმა" ალეკო შალამბერიძემ, თუმცა, "პირველ რიგში," "ნაციონალებთან" გაერთიანებასაც გამოუძებნა თავისი ახსნა: **"თავის დროზე ჩვენ ერთად არ მივეცით ხმა 2002 წლის ბიუჯეტს, რომელიც გასულ წელს 100-ზე მეტი მილიონით გაირღვა... ჯერ კიდევ მაშინ ჩვენ ერთ პოზიციაზე ვიყავით,"** - ამბობს იგი, თუმცა "ნაციონალებთან" გაერთიანებაზე საუბრის დაწყების კატალიზატორად ზურაბ ჟვანიას პრეზიდენტთან მისვლის ფაქტსაც ასახელებს: **"ჩვენი მიზანია არსებული ხელისუფლების შეცვლა. ყველამ უნდა მოიშოროს ილუზია იმის თაობაზე, რომ დღევანდელმა პრეზიდენტმა შესაძლოა, კიდევ გადადგას მისაღები და სწორი ნაბიჯები..."**

როგორც აღმოჩნდა, გავრცელებული ინფორმაცია ახალი გაერთიანების შესახებ სიურპრიზი გახლდათ "ტრადიციონალისტთა" ფრაქციის წევრების დიდი ნაწილისთვის. გუშინ ფრაქცია დახურულ კარს მიღმა შეიკრიბა. შეხვედრიდან გამოსულები ირწმუნებოდნენ, რომ შეკრებაზე ბიუჯეტი განიხილეს და არა აღნიშნული გაერთიანების საკითხი.

ცალკე თემაა თავად "ტრადიციონალისტების" ფრაქციის შიგნით არსებული სიტუაცია. მას შემდეგ, რაც თედო პაატაშვილმა ბიუჯეტს მისცა ხმა, მისი პარტიული ორიენტაციის საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ნატო ჩხეიძისა და ზაზა ოქუაშვილის სამომავლო არჩევანიც საკმაოდ ბუნდოვანია, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო პერიოდში რეგიონისა და ცენტრის გართულებული ურთიერთობების, ანუ "აღორძინების" გამო, ფირმა "ომეგას" სერიოზული პრობლემები შეექმნა, არ არის გამორიცხული, რომ მათი ინტერესები ახალ ერთობას გარკვეულწილად დაემთხვეს. ამასთან, არც ისაა გამორიცხული, რომ საპრეზიდენტო უმრავლესობისკენ წასული "ახალი აფხაზეთი" გერმანე ფაცაციას "ტრადიციონალისტთა" სასარგებლოდ დაემშვიდობოს.

მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის "ტრადიციონალისტებისა" და "ნაციონალების" ურთიერთობა, ცხადია, რომ პროცესი დაწყო.

ბიუჯეტი მეორე წრეზე

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ტარანი თვლით არის: პროსახელისუფლებო ფრაქციებში კარგად ახსოვთ, 2003 წლის 28 დეკემბერს გამართული კენჭისყრის დროს ვისი ხმა ვერ მიითვალეს. ბიუჯეტისთვის ხმის მიცემის მომენტში "ალიანსელების" - ლეონიდე ჯაფარიძის, ვიტალი აიდინოვისა და იური ხჩოიანის, "მოქკავშირელის" პეტრე ბერაიას, აგრეთვე ფრაქცია "თანადგომის" წევრის თამაზ გამყრელიძის სხდომათა დარბაზში არყოფნამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ მთავრობის წევრებს საახალწლო სუფრასთან ისევ ბიუჯეტის პარამეტრები უტრიალებდათ გონებაში.

ზემოთ ჩამოთვლილი პარლამენტარების დადებითი ხმები 15 იანვრისთვის (დაახლოებით ამ დროისთვის ივარაუდება რიგგარეშე სესიის დაწყება) თითქმის გარანტირებულია. გარდა ამისა, ბიუჯეტის მხარდამჭერთა რიგებში გადაბირებას მოუნდომებენ იმ დეპუტატებსაც, ვინც, მართალია, სახელისუფლებო ძალების მოკავშირეებად მოიაზრებიან, მაგრამ 28 დეკემბერს, "რატომღაც", მთავარი ეკონომიკური კანონის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ესენი არიან ფრაქცია "ახალი აფხაზეთის" რამდენიმე წევრი და ზოგიერთი დამოუკიდებელი დეპუტატი. ასე რომ, სამთავრობო ფრაქციების ოპტიმიზმს საფუძველი ნამდვილად აქვს.

თუმცა, იმედგადაწურული არც ოპოზიციაა. მას სულაც არ ეჩვენება წარმოუდგენლად, რომ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი კიდევ ერთხელ "ჩაფლავდეს". ჯერ ერთი, ცალკეული დეპუტატების გადაბირებაზე ისინიც მუშაობენ და მეორეც, მათი აზრით, 28 დეკემბრის სესიაზე ზოგიერთი დეპუტატის არგამოცხადება სულაც არ ყოფილა "საპატიო", როგორც ამას ხელისუფლების მხარდამჭერები აცხადებენ.

"თუნდაც დავუშვათ, რომ პარლამენტში მათი არმისვლა "საპატიო" მიზეზის, უყურადღებობის ან შემთხვევითობის გამო მოხდა. რატომ გგონიათ, რომ მსგავსი რამ არ შეიძლება განმეორდეს?" - აქეთ უსვამენ კითხვას ოპოზიციონერი დეპუტატები ჟურნალისტებს და არც თუ უსაფუძვლოდ.

უცხოეთი

ახალი წელი ისრაელში სისხლიანი ტერაქტით დაიწყო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აფეთქების შემდეგ

არაფატის პალესტინიდან გაძევების თაობაზე. იმავე დღეს, ისრაელის სამხედრო ვერტმფრენებმა პალესტინის ქალაქ ღაზაზე მძლავრი საჰაერო დარტყმები განახორციელეს. ისრაელის არმიის წარმომადგენლის განცხადების თანახმად, ვერტმფრენებმა მთლიანად გაანადგურეს რამდენიმე საამქრო, სადაც დაზვერვის მონაცემებით პალესტინელი ტერორისტები იარაღს და ასაფეთქებელ ნივთიერებებს ამზადებდნენ. გარდა ამისა, ისრაელის ტანკებმა ღაზას სექტორის სამხრეთ ნაწილში პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკი დაიკავეს.

სამხედრო აქციების გარდა, ისრაელის ხელისუფლებამ საპასუხო ნაბიჯები დიპლომატიურ არენაზეც გადადგა. პრემიერ-მინისტრის მრჩევლის რაანან გისინის განცხადებით, პალესტინის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ლონდონში გამგზავრების უფლება არ მიეცემათ. როგორც ცნობილია, ბრიტანეთის დედაქალაქში ე.წ. "ახლო აღმოსავლეთის კვარტეტის" (გაერო, ევროკავშირი, რუსეთი და აშშ) წარმომადგენლებმა პალესტინის ავტონომიაში რეფორმების განხორციელების საკითხები უნდა განიხილონ.

ამდენად, 2003 წელს ისრაელ-პალესტინის ურთიერთობები, სავარუდოდ კვლავ გამუდმებული ტერაქტების და საპასუხო დარტყმების სცენარით წარიმართება.

თურქეთის პრემიერის „სამშვიდობო მისია" ახლო აღმოსავლეთში

თურქეთის პრემიერ-მინისტრი ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობს, რათა რეგიონის ლიდერებს ერაყის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში ანკარას შესაძლო მონაწილეობის რეალური მიზეზები აუხსნას და მეზობელ სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობები შეინარჩუნოს.

რევაზ ბახტაძე

თურქეთის პრემიერ-მინისტრი აბდულა გული ახლო აღმოსავლურ ტურნეს აგრძელებს. ამჟამად იგი ეგვიპტეში იმყოფება.

ეგვიპტეში ჩასვლამდე, გული სირიის პრეზიდენტს ბაშარ ალ-ასადს შეხვდა, ერაყში ომის თავიდან აცილების "კონკრეტული საშუალებების" განსახილველად. **"ჩვენ კვლავ გვჯერა, რომ ყველა დიპლომატიური საშუალება არ არის ამოწურული. კიდევ ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს"** - აღნიშნა დამასკოში მყოფმა გულმა.

გული ეგვიპტის პრეზიდენტ მუბარაქს წითელი ზღვის კურორტ შარმ ელ-შეიხში შეხვდა. ამის შემდეგ კი ქაიროში გაემგზავრა არაბული სახელმწიფოების ლიგის გენერალურ მდივან ამრ მუსასთან მოსალაპარაკებლად.

შაბათს, ახლო აღმოსავლეთში ოფიციალური ტურნეს დაწყებისას, გულმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ერაყთან ომი "პანდორას ყუთის" გახსნის ტოლფასი იქნება. მსგავსი შეხედულებები აქვთ არაბ ლიდერებსაც. ეგვიპტის პრეზიდენტმა მოსალოდნელ ომს "საყოველთაო კატასტროფა" უწოდა.

იმის მიუხედავად, რომ თურქეთი ვაშინგტონის ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირეა, ანკარას ერაყთან ომის დაწყება აშკარად არ ეპიტნავება.

ერაყის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში თურქეთის უმთავრეს საზრუნავს ერაყის ქურთისტანი წარმოადგენს. თურქეთის ხელისუფლების აზრით, ძალზე დიდია იმის ალბათობა, რომ ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების შემდეგ ისინი ფორმალურ თუ არა, ფაქტობრივ დამოუკიდებლობას მაინც მოიპოვებენ, რაც თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებში სეპარატიზმს კიდევ უფრო გააღვივებს.

ამას გარდა, თურქეთს ერაყში მცხოვრები მცირერიცხოვანი თურქმენული მოსახლეობის დაცვაც სურს, სადამ ჰუსეინის სადამსჯელო ოპერაციებისგან. ანკარასათვის ასევე მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ ერაყში ნავთობით მდიდარი ორი ქალაქის (კირკუკი და მოსული) საკითხი. თურქეთში არ გამორიცხავენ, რომ, ჩრდილოეთ ერაყში სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში, ამ ქალაქებში არსებულ სტრატეგიულ რესურსებზე კონტროლი სწორედ მათ დააწესონ.

ახლო აღმოსავლეთში თურქეთის პრემიერის ვიზიტის დაწყებამდე თურქულ გაზეთ "მილიეთში" გამოქვეყნდა სურათი, რომელზეც თურქული ტანკები ქურთებით დასახლებულ ჩრდილოეთ ერაყშია აღბეჭდილი. თურქული გაზეთის მტკიცებით, თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა უკვე ბამერნის საავიაციო ბაზა დაიკავეს, რომელსაც 1991 წლის შემდეგ ერაყელი ქურთები აკონტროლებდნენ. თურქულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ანკარაში იმყოფება ერაყელი ქურთების ერთ-ერთი ლიდერი, მასუდ ბარზანი.

პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთი მრჩევლის თქმით, გულის ახლო აღმოსავლური ვოიაჟის რეალურ მიზეზს ერაყთან მოსალოდნელ ომში თურქეთის მონაწილეობის თაობაზე სირიის, იორდანიისა და ეგვიპტის ხელისუფალთა შეხედულების გარკვევა წარმოადგენს.

ანკარა ორცეცხლშუაა მოქცეული. თურქებს არ სურთ, რომ მსოფლიოში ამერიკის "მუსლიმურ ფასადად" აღიქმებოდნენ და მეზობლებთან დაძაბული ურთიერთობები ჰქონდეთ. მეორე მხრივ, ანკარასთვის ეკონომიკური და უსაფრთხოების მოსაზრებებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შეერთებულ შტატებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

დღეს თურქეთის პრემიერი ამანში იორდანიის მეფეს აბდულას შეხვდება. მიმომხილველები არ გამორიცხავენ, რომ გული, შესაძლოა, ირანშიც ჩავიდეს. თვის ბოლოს კი თურქეთის პრემიერი საუდის არაბეთსაც ეწვევა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ი ყ ა ვ ი თ ხ ა ზ ზ ე !

დ ა მ ო ი გ ე თ მ რ ა ვ ა ლ ი პ რ ი ზ ი ჯ ე ო ს ე ლ თ ა ნ ე რ თ ა დ !

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:
- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

ჯ ე ო ს ე ლ შ ი ლ ა ი - ლ ა ი ბ ა რ ა თ ე ბ ი თ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა 1997 წ ლ ი დ ა ნ ?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი -დარეკეთ ნომერზე 111**
- არა-დარეკეთ ნომერზე 222**

ჯ ე ო ს ე ლ ი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და ალმაშენებლის 146
ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0.288 ლარი

ს ა ჯ ა ხ ე ღ წ ე ლ ო ფ ა ს ლ ა ჯ ე ბ ა ჯ ე ო ს ე ლ შ ი !

აბონენტთა საყურადღებოდ!
ა.წ. 11 დეკემბრიდან თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი. იჩქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

საზოგადოება

დაემორჩილეთ ბრძანებულებას: გათბით უსაფრთხოდ

42 წლის მერაბ ბასილაშვილი ზამთრისთვის სამზადისს აგვისტოდანვე შეუდგა. ახლადშეძენილ ჩვილს ზამთარი თბილად რომ გაეტარებინა, ოჯახმა შეიძინა გაზით გამათბობელი, ნავთით გამათბობელი - ე.წ."ტურბო" და შეშის ღუმელი. გამათბობელი საშუალებების შეძენა და დამონტაჟება, ბასილაშვილებს 1000 ლარზე მეტი დაუჯდათ. მაგრამ ამ ზამთარს ბასილაშვილებმა, ფაქტობრივად, ვერც ერთი გამათბობელის გამოყენება ვერ შეძლეს.

თეა ხოფერია

"ბავშვის ექიმმა კატეგორიულად ამიკრძალა სახლში ნავთქურის ანთება, რამდენჯერაც შეშის ღუმელი ჩავრთე, ბოლი უკან, ოთახში შემოვიდა, საკვამლე მილი კი ჩვენს სახლს არა აქვს. რაც შეეხება ჩეხურ გამათბობელს, ის გინდ გქონია, გინდ არა. სოლოლაკში გაზის წნევა ძალზე დაბალია, დღის განმავლობაში საკუთარი თავის გათბობას თუ ახერხებს", - ამბობს მერაბ ბასილაშვილი.

ბასილაშვილების ოჯახისგან განსხვავებით, ზოგიერთი თბილისელი უპირატესობას შეშის ღუმელსა და სუფთა ჰაერს ანიჭებს.

37 წლის ირა კუზნეცოვა და მისი მშობლები ოროთახიან ბინას შეშის ღუმელით ათბობენ. ღუმელი საღამოს 6 საათიდან რვის ნახევრამდე აქვთ ჩართული. სხვა უფრო ძვირადღირებულ გამათბობელს ირა უსახსრობის გამო ვერ ყიდულობს, თუმცა, იმასაც ამბობს, მირჩევნია, სუფთა ჰაერით ვისუნთქო, თანაც უფრო ეკონომიურიაო.

შედარებით შეძლებულმა ვაკის მცხოვრებმა დევი მიქაშავიძის ოჯახმა რამდენიმე წლის წინათ ირანული წარმოების ღუმელი შეიძინა. თავდაპირველად, როგორც ბევრმა სხვა თბილისელმა, შენაძენი მიქაშავიძეებმაც კუსტარული მეთოდით დაამონტაჟეს. რამდენიმე ხანში, ქალაქში მომხდარი ტრაგედიების გამო, ოჯახმა პროფესიონალი ხელოსანი მოიყვანა და გამათბობელი დაამონტაჟებინა. **"სწორად დაყენებულმა ღუმელმა მაინც გვიმტყუნა. დაახლოებით საღამოს 8 საათი იყო, სახლში მარტო მყოფს ჩამძინებოდა. თურმე, ამ დროს, ჩართული გამათბობელი გაციებულა და ნამწვი მთლიანად ოთახში შემოდიოდა. საბედნიეროდ, ტელეფონის ზარმა გამაღვიძა და გადავრჩი... რამდენიმე დღეში ეს ღუმელი სახლიდან გავიტანეთ და ჩეხური წარმოების გაზის გამათბობელი დავაყენეთ. რამდენადაც ვიცით, ის ბევრად უფრო უსაფრთხოა",** - ამბობს დევი მიქაშავიძე.

ამ და სხვა რესპონდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა ერთი საგულისხმო რამ - პრეზიდენტ შევარდნაძის 2002 წლის 22 ივნისის ბრძანებულების შესახებ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა. ბრძანებულებაში კი წერია: **"აიკრძალოს საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში, გაზით მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელ და წყალგამაცხელებელ მოწყობილობათა მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისათვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსოდან და წვის პროდუქტები სათავსოშივე რჩება (გარდა გაზჭურისა)".** ბრძანებულებაში ასევე აღნიშნულია, რომ დაუშვებელია იმ გამათბობლების დამონტაჟება, რომელთაც სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების შესაბამისად არა აქვთ მოწყობილი საკვამლე და სავენტილაციო არხები; იკრძალება ყველა თვითნაკეთი წარმოების ხელსაწყოს გამოყენება. დამონტაჟებისათვის აუცილებელია დოკუმენტაციისა და საექპლოატაციო აქტის გაფორმება. დამონტაჟების უფლება აქვს მხოლოდ სათანადო ლიცენზიის მქონე ორგანიზაციას. სამონტაჟო ორგანიზაცია მოვალეა, შეამოწმოს სავენტილაციო და კვამლსადენი არხების ვარგისიანობა და ა.შ.

"თბილგაზი"-ს პრესსამსახურის ცნობით, სახელმწიფოს არა აქვს საშუალება, აღნიშნული ბრძანებულების შესახებ სარეკლამო კლიპი შეუკვეთოს, რათა მის თაობაზე მეტმა მოქალაქემ შეიტყოს. ამ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ეხება, სამწუხაროდ, სახელმწიფო მხოლოდ ფორმალურად იხდის ვალს - პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემით კმაყოფილდება და მის აღსრულებაზე არ ზრუნავს. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა სრულიად უმწეო მდგომარეობაშია, ანუ არა აქვს ზუსტი ინფორმაცია გამათბობელების შესახებ, რითაც საკუთარ სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აგდებს.

მანამ, სანამ პრეზიდენტის ბრძანებულება ფართო მასებისათვის გახდება ცნობილი, ხალხი, ძირითადად, არადამოწმებულ ინფორმაციას ენდობა. როგორც "ელიავას ბაზრობაზე" მომუშავე ხელოსნები აღნიშნავენ, უსაფრთხოების თვალსაზრისით, პირველ ადგილზე ჩეხური ტიპის გამათბობელია. ისინი უფრო ძვირიცაა. "ჩეხურის"ფასი დაახლოებით 600-დან 800 ლარამდეა, სამამულო გამოშვების ღუმელისა კი 300 ლარამდე. ეს გამათბობელები "ნიქ ქალაზე" მნიშვნელოვნად ძვირია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ "ჩეხური" ღუმელი, ირანული წარმოების გამათბობელისაგან განსხვავებით, ჟანგბადს გარედან იღებს და წვის შედეგად გამომუშავებული ნამწვი გარეთ გააქვს.

"ელიავას ბაზრობაზე" მომუშავე ღუმელების ხელოსანი ზურაბ გუგეშაშვილი მოსახლეობას ურჩევს, ეკოლოგიურად სუფთა ღუმელი შეიძინოს. **"ნიქ ქალა" წვისთვის ოთახში არსებულ ჟანგბადს იყენებს. ამ ღუმელით გათბობის შემთხვევაში, ოთახი საათში ერთხელ უნდა განიავდეს. მას არა აქვს დამცავი მექანიზმი. "ჩეხურს" და "31-ე"-ს კი ყველა დამცავი მექანიზმი აქვს",** - ამბობს ხელოსანი ზურაბ გუგეშაშვილი.

"თბილგაზის" პრესცენტრის ინფორმაციით, ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში, 33 ადამიანი დაიღუპა გაზის გამათბობელ "ნიქ ქალას" გამო. უფრო სწორად კი დაღუპვის მიზეზად "ნიქ ქალას" არასწორი დამონტაჟება სახელდება. ერთი ადამიანი კი გუდაურში დაიღუპა, "ჩეხური" გამათბობელის არასწორად დამონტაჟების გამო.

არსებული სტერეოტიპი, შედარებით იაფიანი "ნიქ ქალა" ცუდია და "ჩეხური" კარგია, არ არის სწორი. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს თბომომარაგებისა და გარემოს დაცვის განყოფილების უფროსის, ნელი ბერულავას განცხადებით, ყველა გაზის გამათბობელი დანადგარის დაყენებას ცოდნა უნდა. მაგალითისათვის, თუკი იგივე "ჩეხური" ღუმელი არასწორად იქნა დაყენებული, სავალალო შედეგები, შესაძლოა, გარდაუვალი იყოს.

"ნიქ ქალას" პასპორტში გარკვევით წერია, რომ დანადგარი უნდა დაიდგას იქ, საითკენაც ქარი არ უბერავს. "ნიქ ქალა"-ს დაყენებისას, ღუმელს უნდა გაუკეთდეს მილი, რომელიც სახლში არსებულ საკვამლე მილს დაუკავშირდება. **"ღუმელი საკვამლე არხს იმიტომ უკავშირდება, რომ ბუნებრივი წევა მოხდეს და ნამწვი ოთახში კი არ დარჩეს - გარეთ გავიდეს. ღუმელი არ არის განსაზღვრული 2-ზე მეტ სართულიანი სახლებისათვის",** - განმარტავს ნელი ბერულავა.

როგორც ჩანს, მოსახლეობა დაზღვეული რომ იყოს ხიფათისაგან, საჭიროა ამ დარგის სპეციალისტებმა კიდევ ერთხელ, საჯაროდ განმარტონ, სად და როგორ შეიძლება ამა თუ იმ გამათბობლის დაყენება.

ეკონომიკა

პარლამენტმა ბიუჯეტის არარსებულ კანონპროექტს უყარა კენჭი

ვირველი გვერდიდან

ახალგაზრდა ეკონომისტები მთავრობას ბიუჯეტის კანონის მოუმზადებლობაში ადანაშაულებენ.

დაუბრუნდა. ახალგაზრდა ეკონომისტები აცხადებენ, რომ მთავრობამ კანონპროექტი არ გაიწვია.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე ამ მოსაზრებას ეთანხმება და აცხადებს, რომ **"კანონპროექტის გაწვევა არ მომხდარა კონსტიტუციურად".** იგი ასევე მიუთითებს, რომ პარლამენტში შემოტანილი ბიუჯეტის კანონპროექტი თავიდანვე "ნახევარფაბრიკატი" იყო. გოცირიძე იმასაც ეთანხმება, რომ 29 დეკემბერს პარლამენტარებმა ბიუჯეტის შესწორებულ კანონპროექტს კი არ უყარეს კენჭი, არამედ ცვლილებათა რამდენიმე გვერდიან ცხრილს.

"როდესაც მთავრობა ახდენს ბიუჯეტის კანონპროექტის კორექტირებას, მუხლობრივად უნდა იყოს გაწერილი ყველა ხარჯი, რომელიც, წინა ვარიანტთან შედარებით, შეცვლილია. ჩვენმა მთავრობამ ბიუჯეტის სრული კანონპროექტი კი არ წარმოგვიდგინა, არამედ მხოლოდ ცვლილებების ცხრილი, რაც თავისთავად არის კანონდარღვევა," – აცხადებს რომან გოცირიძე.

ახალგაზრდა ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ პასუხისმგებლობა ხელისუფლების ორივე შტომ უნდა აიღოს. დღეს ეკონომისტები სპეციალური წერილით მიმართავენ პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და მომხდართან დაკავშირებით შეხვედრას სთხოვენ.

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე კი აცხადებს, რომ 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის ძირითადი პარამეტრები და პრიორიტეტები საპარლამენტო სესიაზე მისი პირველივე მოსმენით ჩავარდნის შემდეგაც არ შეცვლილა. თუმცა, პრეზიდენტი აქვე დასძენს, რომ, 2002 წელთან შედარებით, 2003 წელს ბიუჯეტი 16 პროცენტით გაიზრდა და საბოლოო ჯამში, მილიარდ 460 მილიონი ლარი შეადგინა.

"მთლიანობაში, 2003 წლის ბიუჯეტზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთი ბიუჯეტი აღმასრულებელ ხელისუფლებას პარლამენტში განსახილველად ჯერ არ წარუდგენია და სამწუხაროა, რომ მისი დამტკიცება ვერ მოხერხდა," – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

ენგურჰესს გერმანელები შეაკეთებენ

გუშინ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში გაფორმდა ხელშეკრულება გერმანულ ფირმა "დე-ეს-დესთან", რომელმაც ენგურჰესის მისაყრდნობი ფარის შეცვლისათვის გამოცხადებულ ტენდერში ავსტრიულ "ვატენსა" და რუსულ "ტექნოპრომექსპორტს" აჯობა.

მაია ურუშაძე

ევროკომისიის მიერ საქართველოს ენერგეტიკის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი გრანტიდან "დე-ეს-დე" 5 მილიონ ევროს 18 თვეში, ანუ 2004 წლის 6 ივლისამდე აითვისებს. ამის შემდეგ კი ენგურის ჰიდროელექტროსადგური ახალი მისაყრდნობი ფარით იქნება აღჭურვილი. ფარი 1994 წლიდან იყო დაზიანებული, რაც კაშხლიდან წყლის დაღვრას იწვევდა. ფარის აღდგენა სადგურს დამატებით 800 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის აკუმულირების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, გაადვილდება სარემონტო სამუშაოების ჩატარებაც.

"დე-ეს-დე", ასევე გერმანულ "ფოიტ-სიმენსთან" ერთად, ევროკომისიის მიერ გამოყოფილ 10 მილიონ ევროს ოდენობის გრანტს ითვისებს. ჩასატარებელი სამუშაოების ელექტრომექანიკურ ნაწილს გერმანული "ფოიტ-სიმენსი" ასრულებს, "დე-ეს-დეს" ფუნქცია კი კაშხლის რეკონსტრუქციისათვის აუცილებელი დანადგარების ჩამოტანა და მონტაჟია.

"დე-ეს-დესა" და "ფოიტ-სიმენსის" მიერ ჩასატარებელი სამუშაოები ენგურჰესის რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროექტის ნაწილია. ამ პროექტის ძირითადი დამფინანსებელი კი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკია, რომელმაც ენგურჰესის სრულფასოვანი რეაბილიტაციისათვის 38 750 000 დოლარის ოდენობის 15-წლიანი კრედიტი გამოყო. ამ თანხით გარემონტდება სადგურის სამი აგრეგატი, მართვის სისტემები და საკაბელო მეურნეობა, რაც ენგურჰესის საიმედოობას გაზრდის და, შესაბამისად, სადგურზე ავარიების შანსებს შეამცირებს. სხვათა შორის, ამ პროექტით გათვალისწინებულ სხვა ელექტრომექანიკურ სამუშაოებსაც "ფოიტ-სიმენსი" შეასრულებს.

ენგურჰესი ამჟამად ენერგოსისტემისათვის აუცილებელი ელექტროენერგიის ნახევარზე მეტს გამოიმუშავებს (1000-მდე მეგავატი). სადგურის დახმარებით ენერგოსისტემა პიკის საათებში ელექტროენერგიის სწრაფად მზარდ მოთხოვნასაც აკმაყოფილებს. მიუხედავად ამისა, მიმდინარე სარეაბილიტაციო პროექტის დაწყებამდე, ენგურჰესს მარტო შვეიცარიის მთავრობის მიერ გამოყოფილი მილიონ დოლარამდე ოდენობის გრანტი მოხმარდა. 1996-2001 წლებში ეს თანხა შვეიცარულმა ფირმებმა "შტუკემ" და "ელექტროვატმა" აითვისეს. მაშინ მხოლოდ ენგურის კაშხლის მონიტორინგი ჩატარდა, სადგურის ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნება კი დღემდე ადგილობრივი მწირი სახსრებით ხდებოდა. როდესაც სადგური ტექნიკურად საბოლოოდ გაიმართება, ის თავისი საპროექტო სიმძლავრის - 1300 მეგავატის გამომუშავებას შესძლებს, რაც საქართველოს ენერგოსისტემას უფრო საიმედოს გახდის.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ენგურჰესის აღდგენითი სამუშაოები 3 წელიწადს გასტანს. რაც შეეხება უსაფრთხოებას, აფხაზეთის მხარესთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში ქართულ-აფხაზური მხარე ერთობლივად დაიცავს სადგურის ტერიტორიას.

სამართალი

რამდენიმე მკვლელობა ახალი წლის დღეებში

საახალწლო დღეებს, კრიმინალური თვალსაზრისით, არც თელავის რაიონში ჩაუვლია მშვიდად. უმნიშვნელო სამართალდარღვევების გარდა, აქ სამი მძიმე დანაშაულიც მოხდა. როგორც თელაველი სამართალდამცველები ირწმუნებიან, განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრული ორი სისხლის სამართლის საქმე ცხელ კვალზე უკვე გახსნილია. რაც შეეხება ცოლ-ქმარზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმას, რასაც შედეგად სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვა, ჯერ კიდევ გაუხსნელია.

სოფელ სანიორეს ღვინის ქარხნის დირექტორს ნოდარ სამქუაშვილსა და კახეთის რეგიონის ე.წ. შავი სამყაროს წარმომადგენელს იოსებ სიხარულაშვილს შორის დაწყებული კამათი სისხლის ღვრაში გადაიზარდა. მეგობრებთან ერთად რესტორან "ჰარიჰარალეში" მოქეიფე, ერთმანეთზე განაწყენებული ნოდარ სამქუაშვილისა და იოსებ სიხარულაშვილის გაშველება თანამოსუფრეებმა ვერ შეძლეს. შეკამათება ჯერ ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა, მოგვიანებით კი ღვინის ქარხნის დირექტორმა ცეცხლსასროლი იარაღიდან მოულოდნელი გასროლით იოსებ სიხარულაშვილს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. კახეთის ცენტრში მდებარე რესტორან "ჰარიჰარალეში" 5 იანვარს, ღამის პირველ საათზე ატეხილმა გაწევ-გამოწევამ და ჩოჩქოლმა მოქეიფეები დააბნია და ვერავინ შეამჩნია, გასროლის შემდეგ როგორ გაიპარა რესტორნიდან ღვინის ქარხნის დირექტორი. დაჭრილი სიხარულაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ მიმალული მკვლელის ადგილსამყოფელი თელაველი სამართალდამცველებისთვის უცნობია, იგი ძებნილად ჯერ არ გამოუცხადებიათ, რადგან, როგორც თავად აცხადებენ, იმედი აქვთ, რომ ნოდარ სამქუაშვილი შორს წასვლას ვერ მოახერხებს და მას უახლოეს საათებში მიაგნებენ.

იმ დროს, როცა რესტორანში მოკლული იოსებ სიხარულაშვილის ახლობლები და სამართალდამცველები ცხელ კვალზე მისდევდნენ ნოდარ სამქუაშვილს, თელავის რაიონის სოფელ შალაურში კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა. მეზობლის ოჯახში მოქეიფე ნაცნობებს - თენგიზ ერგემლიძესა და ვალერი გაგნიძეს შორის დაწყებული შელაპარაკება ქუჩაში გაგრძელდა. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ თენგიზ ერგემლიძემ ვალერი გაგნიძე დანით დაჭრა. პირველადი დახმარების აღმოჩენამდე, დაჭრილი სისხლისგან დაიცალა და ადგილზევე გარდაიცვალა. ისევე, როგორც ნოდარ სამქუაშვილმა, თენგიზ ერგემლიძემაც მოახერხა მიმალვა.

6 იანვარს, თელაველი ცოლ-ქმრის – სერგო და ზინაიდა ჟამიერაშვილების მაღაზიას ოთხი უცნობი დაესხა თავს. თავდამსხმელებმა ცოლ-ქმარს ფული მოსთხოვეს. სერგო და ზინაიდა ჟამიერაშვილებმა ყაჩაღებს წინააღმდეგობა გაუწიეს, ხოლო მას შემდეგ, რაც თავდამსხმელებმა მაღაზია მთლიანად გაძარცვეს და იქ მხოლოდ თოთხმეტი ლარი აღმოაჩინეს, განრისხებულებმა ცოლ-ქმარზე ჯავრი იყარეს, კომერციული მაღაზიის მფლობელები სასტიკად სცემეს და გაუჩინარდნენ.

"24 საათი"

ვისია, ვისია, დროშა ჯვრიანი?

ვირველი გვერდიდან

აღმოჩენილ იქნა ქვაჯვარი ხუთჯვრიანი დროშის გამოსახულებით.

მუსხელიშვილი კატეგორიულად არ ეთანხმება ოპონენტთა იმ მოსაზრებასაც, რომ თითქოს აღნიშნული დროშა იერუსალიმის არის. **"იერუსალიმის დროშა გამოსახულებით, დატანის წესითა და ფერით განსხვავდება ქართულისგან. იერუსალიმის დროშაზე გამოსახული პატარა ჯვრები ოქროსფერია, ცენტრში მოთავსებულ დიდ ჯვარს კი ოთხივე მხარეს აქვს მართობული მონაკვეთები. ქართული დროშის ჯვრები წითელი ფერის არის და ცენტრში მოთავსებული ჯვარი მთლიანად ფარავს დროშას კიდიდან კიდემდე",** - ასე ხსნის ქართული და იერუსალიმური ჯვრების განსხვავებას დავით მუსხელიშვილი.

"ჰერალდიკაში არა თუ ფერის, არამედ სიმბოლოს ფორმის ერთი შტრიხის შეცვლაც კი ახალ ჰერალდიკურ სიმბოლოს ნიშნავს", - გვითხრა ჰერალდიკის სპეციალისტმა თორნიკე ასათიანმა.

მუსხელიშვილმა კიდევ ერთი არგუმენტად, რომ დროშა ქართული წარმოშობისაა, მეთოთხმეტე საუკუნის იტალიური და კატალონიური რუქები მოიშველია, მათზე დატანილია იმდროინდელი ევროპის სუვერენული სახელმწიფოების დროშები, რომლებიც მათი დედაქალაქების თავზეა გამოსახული. **"საქართველოს დედაქალაქის თავზე რუქაზე დატანილია ხუთჯვრიანი დროშა, რაც იმის უტყუარი დასტურია, რომ იგი იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფო დროშის დანიშნულებისა გახლავთ",** - გვითხრა დავით მუსხელიშვილმა.

პარლამენტარი გურამ შარაძე მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომლებიც მერიის თავზე აღმართული დროშის ქართულ წარმომავლობას ამტკიცებენ, სააკაშვილის დაქირავებულ თანამოაზრეებად მოიხსენიებს. შარაძე მეცნიერთა ამ გუნდს უნდობლობას უცხადებს და საკუთარი პოზიციის დასაცავად ისტორიკოსები როინ მეტრეველი და მარაიმ ლორთქიფანიძე მოჰყავს. **"მე ვენდობი ამ ხალხს და მათ ავტორიტეტს. ისინი ამბობენ, რომ დროშა არ არის ქართული წარმოშობის. სააკაშვილს საკუთარი აგენტები საპატრიარქოშიც ჰყავს, მათ შორის არის გიორგი ანდრიაძეც. ის და მისი თანამოაზრეები ანტიქართულ დავალებებს ასრულებენ",** - განუცხადა შარაძემ "24 საათს".

ქუთაისელი მოსამართლეები „კანონიერმა ძურდებმა" სცემეს

ვირველი გვერდიდან

ქალაქში სამართალდამცავ სფეროს და წესრიგს კურირებს. **"ქუთაისის ვიცე-მერმა დათო სანიკიძემ პოლიციის ჯგუფს უთხრა, რომ რესტორნის მფლობელი იყო და ცხელ კვალზე მათ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საშუალება არ მისცა. რესტორანში მომუშავე დაცვის მუშაკების მიმართ კი გასცა განკარგულება, რომ ჩვენებები არ მიეცათ. სანიკიძემ პოლიციელებს სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა. აღნიშნული ფაქტები დაფიქსირებულია და პროკურატურაში შეფასდება კიდეც",** - აცხადებს იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ზაზა ძნელაძე.

აღნიშნულ ფაქტს მკაცრ კომენტარს უკეთებს პრეზიდენტის რწუნებული თემურ შაშიაშვილი, რომლის უარყოფითი დამოკიდებულება ქუთაისის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის მიმართ საქვეყნოდ ცნობილია: **"დარბაზში ერთად ისხდნენ კრიმინალები, მერიის ხელმძღვანელები, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი და მოსამართლეები. სუფრას შინგან საქმეთა სამინიტროს თანამშრომელი მამისეიშვილი თამადობდა. თქვენ გგონიათ, რომ ეს ხალხი ერთმანეთის გვერდით შემთხვევით მოხვდა?.. ქურდს ქალაქში ყოფნისთვის პოლიციის უფროსის ნებართვა აქვს, ადმინსტრაციული ორგანოები კი მათგან, როგორც ჩანს, ფულს იღებენ. ქურდს, რომელმაც რესტორანში ეს ამბავი მოაწყო, ნეტავ განახათ, რა სასახლე აქვს აშენებული. ეს ყველაფერი პოლიციის, უშიშროების, პროკურატურის სინდისზეა... ასე თუ გაგრძელდა, ხელისუფლების კრიმინალიზება აპოგეას მიაღწევს".**

მოკლედ

სოხუმი. სოხუმს ეწვევა საქართველოში გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებთა მისიის (UNOMIG) ხელმძღვანელის მოადგილე როზა ოტუმბაევა და აფხაზთა ტყვეობაში მყოფი 4 ქართველის გათავისუფლებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს გამართავს. "როზა ოტუმბაევა სოხუმის მთავრობაში ყველა დონეზე დააყენებს საკითხს დაკავებულების გათავისუფლების შესახებ და საერთოდ, გაერო-ს დამკვირვებელთა მისია ყველა ღონეს მიმართავს ტყვეობაში მყოფთა მალე გასათავისუფლებლად", - განაცხადეს მისიაში. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. შსს-ს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა ხაშურში თურქეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ კონტრაბანდისთვის ძებნილი, თურქეთში მცხოვრები 49 წლის ჰაირეთთინ ქოთილი დააკავეს. ქოთილის დაკავების თაობაზე უკვე ეცნობა გენერალურ პროკურატურასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტს. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა 43 წლის თბილისელი მზია ლომიძე ფალსიფიცირებული უალკოჰოლო სასმელების "კოკა-კოლას", "ფანტას" და "ბორჯომის" ჩამოსხმა-რეალიზაციის ფაქტზე ამხილეს. მზია ლომიძეს საცხოვრებელ სახლში არალეგალურად ჰქონდა მოწყობილი უალკოჰოლო სასმელების ჩამოსასხმელი კუსტარული საამქრო, საიდანაც ამოღებული იქნა სარეალიზაციოდ გამზადებული 142 ცალი პლასტმასის 1.5 ლიტრიან ბოთლში ჩამოსხმული ფალსიფიცირებული "კოკა-კოლა", 144 ცალი 1.5 ლიტრიან ბოთლში ჩამოსხმული "ფანტა", 213 ცალი მინის 0.5 ლიტრიან ბოთლში ჩამოსხმული "ბორჯომი", რომლებზეც გამოყენებული იყო "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" სავაჭრო ნიშნები. ფალსიფიკატორისაგან ასევე ამოღებულია კუსტარული წესით დამზადებული წულის ჩამოსასხმელი და ბოთლის სახუფავი დანადგარები და ამ პროდუქციის დამზადებისათვის საჭირო დიდი ოდენობით დამხმარე მასალები.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

მოსკოვი. „პუტინი მასმედიას განიხილავს, როგორც ვიღაცის ინსტრუმენტს. ის მასმედიას აფასებს, როგორც ინდუსტრიას და არა როგორც საზოგადოებრივ ინსტიტუტს", — ამბობს ჯერ კიდევ დამოუკიდებელი რადიოსადგურ „ეხო მოსკვის" ხელმძღვანელი ალექსეი ვენედიქტოვი. ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის დირექტორი ოლეგ პანფილოვი კი, რომელიც რუსეთის მასმედიის მონიტორინგს ახორციელებს, ამტკიცებს: „პუტინის ორწლიანი პრეზიდენტობის დროს ჟურნალისტების წინააღმდეგ უფრო მეტი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ვიდრე ელცინის ცხრაწლიანი მმართველობის განმავლობაში". **"მედია-ნიუსი"**

საშობაო არდადეგების შემდეგ

კულტურის სამინისტრო მუშაობას იწყებს

ვერა ნეფარიძე

გასული წლის შედეგების მიმოხილვითა და დასახული მიზნებით, გუშინ სესილი გოგიბერიძე ჟურნალისტებს შეხვდა. მინისტრმა ძირითადი შარშანდელი მნიშვნელოვანი ღონისძიებები გამოყო და სამინისტროს წლევანდელი მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებები მიმოიხილა.

"2002 ალბათ, ძალიან დატვირთული წელიწადი იყო, ყოველ შემთხვევაში ჩვენი სამინისტროს მუშაობაში", - შობა-ახალი წლის მილოცვის შემდეგ ასე დაიწყო საკუთარი გამოსვლა გუშინ სესილი გოგიბერიძემ. ამის შემდეგ მინისტრმა ძირითადი, მნიშვნელოვანი მოვლენები მიმოიხილა. მართალია, სამინისტროს საგანგებო ჯგუფის განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები კულტურული მოვლენების მიმართ საკმაოდ ნეგატიური იყო (ამ გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა 90 პროცენტი მიიჩნევს, რომ შემოქმედების თვალსაზრისით, ერთი წლის განმავლობაში საქართველოში არაფერი შეცვლილა), მაგრამ შარშანდელი კულტურული ღონისძიებების ჩამონათვალი არც ისე მწირი იყო. "სამწუხაროდ, ამ გამოკითხვის პირველი პუნქტი საკმაოდ არასასიამოვნოა, მაგრამ ალბათ შორიდან ასე ჩანს. რეალურად, ამ სფეროში ძალიან ბევრი ძვრებია", - ასეთი იყო სესილი გოგიბერიძის კომენტარი გამოკითხვის ერთ-ერთი პუნქტის შედეგზე.

სოციოლოგიურ გამოკითხვაში, რომლის მიზანიც გასული წლის კულტურულ სეზონთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულების გათვალისწინება იყო, დაახლოებით სამასამდე რესპოდენტმა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხვის შედეგებით, წლის ყველაზე შთამბეჭდავ

კულტურული წლის შედეგები

კულტურულ მოვლენად "სუხიშვილების" კონცერტი დასახელდა. მხოლოდ კულტურის მინისტრისთვის არ ყოფილა მოულოდნელი გამოკითხვის კიდევ ერთი მონაცემი, რომელმაც კულტურის სფეროს ობიექტები მაყურებელთა დასწრების სიხშირის მიხედვით გაანაწილა; მოულოდნელი ამ შემთხვევაში, თეატრების პირველობა იყო. "მეგონა პირველ ადგილზე საკონცერტო დარბაზები იქნებოდა", - გაგვიზიარა საკუთარი მოსაზრება სესილი გოგიბერიძემ.

მინისტრმა წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა შორის პირველობა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ამოქმედებას მიანიჭა. "აქამდე დეპარტამენტი არ ფინანსდებოდა და იყო სხვა პრობლემებიც. შარშან დეპარტამენტმა გვაჩვენა თავისი ძალა და ფუნქციები", - თქვა სესილი გოგიბერიძემ. დეპარტამენტის მუშაობის შედეგებს შორის მინისტრმა ფიროსმანის ნამუშევრების აღრიცხვა-პასპორტიზაცია დაასახელა; ასევე მნიშვნელოვანი იყო სამაჩაბლოს კულტურულ ძეგლთა აღრიცხვა-მონახულება. მსგავსი ღონისძიება დაგეგმილი იყო აფხაზეთშიც, მაგრამ ამ ეტაპზე სამინისტროში კონკრეტულს ვერაფერს ამბობენ. აფხაზეთთან დაკავშირებით მათთან შესულია რამდენიმე წინადადება. თუმცა, ამ ეტაპზე მინისტრმა მხოლოდ ის გვითხრა, რომ აფხაზეთის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი მზადაა თბილისელ კოლეგებთან მოლაპარაკებებზე წამოვიდეს. გოგიბერიძის თქმით, კულტურის სამინისტრო წელს საკუთარ ვებ-საიტზე ამ ძეგლების ჩამონათვალსა და მათ შესახებ გარკვეული ინფორმაციის გამოტანას გეგმავს. მინისტრი კმაყოფილია კულტურის სფეროში დანერგილი სპონსორული ურთიერთობებითაც. სპონსორების წყალობით ამჟამად თეატრებში (რუსთაველის, მოზარდ მაყურებელთა, კინომსახიობებისა) სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ყველაზე სერიოზული მიღწევით, ალბათ ეროვნული კინოწარმოება თუ დაიტრაბახებს. წელს ის კულტურისა და ფინანსთა სამინისტროების ჭიდილში, თითქმის ასი პროცენტით დაფინანსდა. 2002 წლის ბიუჯეტით კი ეროვნულმა კინოცენტრმა შვიდ ფილმზე დაასრულა მუშაობა. შედეგად, იანვრის მეორე ნახევრიდან ქართველი მაყურებელი რამდენიმე ქართული მხატვრული ფილმის პრემიერას დაესწრება (წინა წლებში წარმოებაში ჩაშვებული ფილმებიდან ლევან ზაქარეიშვილის "თბილისი-სტამბული" წელს დასრულდება). "ვინაიდან საქართველოს ეროვნული კინოცენტრი ფილმწარმოებას მხოლოდ 75 პროცენტამდე აფინანსებს, ვცდილობთ, მჭიდრო ურთიერთობები დავამყაროთ კინობიზნესში მომუშავე მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოების სამთავრობო და კერძო სტრუქტურებთან", - წერია ეროვნული კინოცენტრის სამომავლო გეგმებში. ამჟამად დაგეგმილია რამდენიმე პროექტი, რომელშიც კინოცენტრთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს: შვეიცარიის მთავრობამ, ირანის, ნიდერლანდების სამეფოს, საფრანგეთის საელჩოებმა, გოეთეს ინსტიტუტმა და ა.შ. საქართველოში ანიმაციური კინოს ასაღორძინებლად კი თურმე მიმდინარეობს მოლაპარაკება ჰონგ-კონგში არსებულ ამერიკულ ანიმაციურ კომპანია STV-DIO Media Animation-ის ხელმძღვანელობასთან.

სესილი გოგიბერიძის თქმით, სამინისტროს დასახული მიზნების განხორციელებისას გათვალისწინებული იქნება ევროსაბჭოს რეკომენდაციები. რამდენად ეყოფა კულტურის სამინისტროს ამ ყველაფრისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თითქმის ცამეტი მილიონი ლარი, ამაში მოგვიანებით დავრწმუნდებით.

"ახალი გერმანული ლიტერატურა" 50 წლისაა

ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც 50 წლის განმავლობაში შესვენებების გარეშე გამოდის, გერმანიაშიც კი იშვიათობაა. აღმოსავლეთში დაფუძნებულმა "ახალმა გერმანულმა ლიტერატურამ" (ndl – neue deutsche Literatur) დიდ გამოცდას – გერმანიის გაერთიანებას გაუძლო. გარკვეულწილად ის ამას თავის სახელწოდებასაც უმადლის: მთავარი რედაქტორის, იურგენ ენგლერის თქმით, კვლავ ერთიან ქვეყანაში ეს სახელწოდება ერთგვარი "სიმბოლური კაპიტალი" იყო.

ჟურნალის 547-ე, იანვარ/თებერვლის საიუბილეო ნომრის დევიზია "უიღბლობისა და იღბლიანობის შესახებ". ის ndl-ის ისტორიის მიმოხილვას შეიცავს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერალთა კავშირის ჟურნალი პირველად 1953 წლის იანვარში გამოვიდა. მაშინ მისი პირველი მთავარი რედაქტორები გდრ-ის ცნობილი მწერლები, ვილი ბრედელი და ფ.ქ.ვაისკოპფი იყვნენ, ხოლო სარედაქციო კოლეგიაში ირმტრაუდ მორგნერი, ევა შტრიტმატერი და ხრისტა ვოლფი შედიოდნენ. ეს უკანასკნელი დღემდე ერთგულად რჩება ჟურნალის მრჩეველთა საბჭოს წევრად.

საიუბილეო გამოცემაში ფართოდაა წარმოდგენილი ავტორების უფროსი თაობა, მათ შორის ფოლკერ ბრაუნი, რაინერ კირში და მრავალი სხვა. ახალგაზრდა თაობას ndl-ის ცალკე ნომერი დაეთმობა, რომლის პრეზენტაციაც, ჩანაფიქრის თანახმად, 21 მარტს, ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე უნდა გაიმართოს.

იტალიელი კუდიანის დაბადების დღე

იტალიაში საახალწლო დღესასწაულები წმინდა ეპიფანიას, ანუ ბეფანას დაბადების დღის აღნიშვნით დასრულდა. ბეფანა კუდიანია, თან ცოცხზე გადამჯდარი, მაგრამ რუსული ზღაპრების გმირისაგან განსხვავებით, ძალიან კეთილი სულიერია. ბეფანას მოხატული წინდები ტკბილეულითაა სავსე, და ეს არც "სნიკერსია" და არც "ბაუნტი", არამედ ბებიას გაკეთებული შაქარყინული და ტკბილი კაკლები: მისი ძირითადი საქმე ბავშვებისთვის საჩუქრების მიტანა და მათი გახარებაა.

შუაღამისას ბეფანა თავისი ცოცხით რომში, პიაცა ნავონაზე დაეშვა. ეს მოედანი, რომელიც ანტიკურ დროში ცირკი იყო, ახლა საახალწლო ბაზრობის ადგილადაა გადაქცეული: კარუსელი, დახლები, სადაც ტკბილეულობა, ნაძვისხის სათამაშოები და კეთილი ჯადოქრის, ბეფანას თოჯინები იყიდება.

ბეფანა ხმაურიან, მორთულ ბრბოს ჩაუდგება ხოლმე სათავეში და ვატიკანთანაც ჩაივლის, რომის პაპის კურთხევის მისაღებად.

"ბეფანას ცოცხმა ყველა დღესასწაული მოხვეტა", ამბობენ იტალიელები. მართლაც: დღეს ქალაქში ნაძვისხეებს მოსართავებს ხსნიან და არდადეგები მთავრდება. მომავალ იანვრამდე, ბეფანა!

გარდაიცვალა ცნობილი ოპერატორი

სანტა-მონიკას საავადმყოფოში კიბოს დაავადებით გარდაიცვალა ცნობილი ოპერატორი კონრად ჰოლი. ჰოლმა 30 წლის განმავლობაში 36 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი გადაიღო (მათ შორისაა: "ცივსისხლიანი", "ბობი ფიშერის ძებნაში", "ამერიკელი ლამაზმანი", "პროფესიონალები"). 1994 წელს კი რეჟისორმა კინემატოგრაფიაში შემოქმედებითი წარმატებისთვის ამერიკელ კინოხელოვანთა საზოგადოების ჯილდო მიიღო.

ყველაზე ძვირადღირებული ტელეფილმი

ორშაბათს ავსტრიის სატელევიზიო ეკრანებზე ოთხსერიიანი ფილმის "ნაპოლეონის" ჩვენება დაიწყეს. როგორც ავსტრიის სატელევიზიო არხის ORF-ს სტუდიაში თქვეს, ფილმის გადაღებებზე 40 მილიონამდე ევრო დაიხარჯა. წელიწადნახევრის განმავლობაში ფრანგი რეჟისორი ივა სიმონო ფილმს იღებდა ავსტრიაში, საფრანგეთში, ჩეხეთში, უნგრეთსა და კანადაში. მთავარ როლებს ისეთი მსოფლიო დონის ვარსკვლავები ასრულებენ, როგორებიც არიან: ჟერარ დეპარდიე, ჯონ მალკოვიჩი და იზაბელა როსელინი.

"ეს იქნება ოცდამეერთე საუკუნის "ნაპოლეონი". ჩვენ შევეცადეთ ისეთი ფილმი გადაგვეღო, რომ სულ მცირე, უახლოესი ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში ვერავინ შეძლოს ჩვენი მასშტაბების განმეორება", - ამბობს ფილმის რეჟისორი ივა სიმონოს. რაც შეეხება ფილმის მასშტაბებს, ის მართლაც შთამბეჭდავია. მაგალითად, ბატალურ სცენებში, რომელიც უნგრეთშია გადაღებული, ათი ათასმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა. მხოლოდ სპეცეფექტები, ამ ფილმის შემქმნელებს, ორი მილიონი ევრო დაუჯდათ. ოთხსერიიან ფილმში რეჟისორმა ფრანგი იმპერატორის ცხოვრება ნაპოლეონის კარიერის დასაწყისიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე აჩვენა. ფილმის სცენარის ავტორია დიდიე დეკუა, რომელმაც საკუთარ ნამუშევარს საფუძვლად დაუდო ნაპოლეონის მაქს გალოსეული ბიოგრაფია.

ბათუმის ბავშვთა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი გასტროლებზეა

მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის მიწვევით საახალწლო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად რუსეთის დედაქალაქში ბათუმის ბავშვთა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები და ბავშვთა სტუდიის წევრები იმყოფებიან. საახალწლო პროგრამა მოსკოვში 4 იანვარს დაიწყო და 9-მდე გაგრძელდება. ვიზიტის ფარგლებში ბათუმელი ბავშვები კონცერტებს კრემლში, მოსკოვის მერიაში, ვერნანდსკის პროსპექტზე მდებარე ცირკში გამართავენ. ისინი როგორც საოპერო, ასევე საესტრადო ნომრებს წარმოადგენენ. დაგეგმილია ასევე შეხვედრები მოსკოველ მოსწავლეებთან და ექსკურსიები რუსეთის დედაქალაქში. მოსკოველ ხელოვნების მოყვარულებს უახლოეს მომავალში თავიანთ შემოქმედებას ბათუმელი მხატვრებიც უჩვენებენ. რუსეთის სახატვრო აკადემია, რომლის პრეზიდენტი ცნობილი ქართველი მოქანდაკე ზურაბ წერეთელია, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ინიციატივითა და მხარდაჭერით იანვრის ბოლოს მოსკოვში გამოფენის "კავკასიის სამყარო" მოწყობას გეგმავს. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ ბათუმელი მხატვრებიც, რომელთა 10 ნამუშევარი მოსკოვში უკვე გაიგზავნა. (**ინტერ-პრესი**)

კალენდარი

7 იანვარი

ინგლისელი ზოოლოგი და მწერალი, ჯერალდ მალკოლმ დარელი (1925 – 1995) ბრიტანეთის არმიის სამხედრო ინჟინრის მეოთხე, უმცროსი შვილი იყო. ბავშვობა ჯერალდმა ბერძნულ კუნძულ კორფუზე გაატარა. იქნებ სწორედ ამ მხარის სილამაზემ და მდიდარმა ცხოველთა სამყარომაც განაპირობა, რომ ორი წლის ბიჭმა მტკიცედ გადაწყვიტა, "ცხოველების მკვლევარი" ყოფილიყო.

ახალგაზრდა დარელმა ლონდონში დაბრუნების შემდეგაც არ დაივიწყა თავისი საყვარელი საქმე და ცხოველები: ჯერ ზოომაღაზიაში დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი ქალაქგარეთ განლაგებულ ზოოპარკში. ეს ზოოპარკი, "უიპსნეიდი", ლონდონის ზოოლოგიურ საზოგადოებას ეკუთვნოდა და მსოფლიოში პირველი სამხეცე იყო, სადაც ცხოველები გალიებში კი არ ისხდნენ, არამედ თითქმის თავისუფლად დასეირნობდნენ. ასეთი პარკები შემდეგ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიხსნა და დღეს ფაუნის იშვიათი წარმომადგენლების შესწავლისა და შენარჩუნების საშუალებას იძლევა.

მოგვიანებით ჯერალდ დარელმა კუნძულ ჯერსიზე საკუთარი, უნიკალური ზოოპარკი გახსნა. მასში ის ცხოველები დასახლდნენ, რომლებიც მწერალმა და ბუნების მკვლევარმა უამრავი ექსპედიციიდან ჩამოიყვანა.

ჩვენთვის ჯერალდ დარელი მრავალი მხიარული წიგნის ავტორია: "ჩემი ოჯახი და ცხოველები" ხომ ყველას გვახსოვს... მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მისი წყალობით ცხოველების ტყვეობაში ცხოვრებაც მეტ-ნაკლებად ასატანი გახდა.

ჯერალდ დარელი 1925 წლის 7 იანვარს დაიბადა.

ფინეთში კრიზისის მიზეზი აბანოები ყოფილა

ფინეთში საგანგებო მდგომარეობა შეიქმნა: მთელი ერის სიხარული, რომლის წყალობითაც ჰელსინკისა და მისი გარეუბნების მცხოვრებლები შედარებით მშვიდად უძლებდნენ ხოლმე ყინვებსა და მზის შუქის ნაკლებობას, ენერგეტიკული კრიზისის მსხვერპლი გახდა. გაირკვა, რომ თუ საუნების რაოდენობა არ შემცირდება, შეიძლება მთელი ფინეთი წყვდიადში აღმოჩნდეს.

პრობლემა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა. ფინეთი მართლაც საუნების ქვეყანაა: ხუთ მილიონ მცხოვრებზე ორი მილიონი ხის ოთახი მოდის, და ყოველ ოთახში დგას ღუმელი და გახურებული ქვები, რომლებიც ფიჭვის ან ევკალიპტის ნაყენით უნდა მოირწყას. წლევანდელი ზამთარი განსაკუთრებით მკაცრი აღმოჩნდა – დედაქალაქში

ფინური აბანო

20 გრადუსი ყინვაა, ჩრდილოეთში კი – 40-მდე, ამიტომ ფინელები საუნას სულ უფრო ხშირად აკითხავენ. გარდა ამისა, ყინვით შეწუხებულნი ჩვეულ 70-80 გრადუსიან სიცხეს არ ჯერდებიან და 100 გრადუსამდე აჰყავთ. ვინაიდან ხის ღუმელი მხოლოდ ძალიან ტრადიციულ საუნებში შემორჩა, ელექტროენერგიის მოხმარებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.

მთავრობა იძულებული გახდა, თავისი მოქალაქეებისთვის თხოვნით მიემართა: თავი შეიკავეთ დროსტარების ამ საშუალებისაგან, ხოლო თუ ყინვამ მეტისმეტად შეგაწუხათ, ისევ "კლასიკურ" ხერხს, შეშით გათბობას მიმართეთო – უსიერი ტყეებით დაფარულ ფინეთს ამ სფეროში კრიზისი ჯერ ნამდვილად არ ემუქრება.

ლას ვეგასის გუგენჰაიმის ამბავი

სოლომონ გუგენჰაიმის ფონდი 1937 წელს დაარსდა. მისი მიზანი მეოცე საუკუნის ხელოვნების ნიმუშების კოლექციონირება, შენახვა, ინტერპრეტაცია და ჩვენება იყო. ამჟამად გუგენჰაიმის ფონდი მსოფლიოში რამდენიმე მუზეუმს განაგებს: სოლომონ რ. გუგენჰაიმის მუზეუმი და გუგენჰაიმის მუზეუმი სოხო ნიუ-იორკში, პეგი გუგენჰაიმის კოლექცია ვენეციაში, გუგენჰაიმის მუზეუმი ბილბაოში და დიოჩე-გუგენჰაიმი ბერლინში. ცოტა ხნის წინათ მათ რიცხვში ლას ვეგასის გუგენჰაიმის მუზეუმი და გუგენჰაიმ-ერმიტაჟიც იყო.

გუგენჰაიმის მუზეუმის ლას-ვეგასის ფილიალი გახსნიდან 1 წლისა და 3 თვის შემდეგ დაიხურა. ჯერ-ჯერობით იმედოვნებენ, ეს საბოლოო დახურვა კი არა, მხოლოდ ოთხკვირიანი შესვენებაო, მაგრამ, ნიუ-იორკის მთავარი მუზეუმის ფი-

მუზეუმის ჭერი

ნანსური პრობლემების გათვალისწინებით (შარშან მისი ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შეამცირეს), ნევადას მუზეუმის მომავალი ბედი ბურუსითაა მოცული.

2001 წლის ოქტომბერში, გამოფენით "მოტოციკლეტის ხელოვნება", გუგენჰაიმის ფილიალი ლას ვეგასში სასტუმროსა და სამორინე "ვენეციაში" გაიხსნა. სოლომონ გუგენჰაიმის ფონდისა და რუსული ერმიტაჟის თანამშრომლობის შედეგად იქვე მეორე მუზეუმიც დაარსდა. მისი პირველი ექსპოზიცია, მართლაც უნიკალური იყო: "შედევრები და დიდი შემგროვებლები" – საზოგადოებამ ექსპრესიონისტი მხატვრების, პიკასოს, მატისის, შაგალისა და კანდინსკის ნამუშევრები იხილა. გახსნის შემდეგ მუზეუმებს დაახლოებით მილიონი მნახველი ჰყავდა.

ლას ვეგასის ფილიალის დახურვის კომენტირებისას მუზეუმის თანამშრომელმა ბეტსი ენისმა განაცხადა, რომ ამჟამად რამდენიმე დაგეგმილი გამოფენის ფინანსირების წყაროების აქტიური ძებნა მიმდინარეობს, და შექმნილი სიტუაცია არც საგანგაშოა და არც უჩვეულო.

მადონას ინგლისური პრობლემები

თავისზე ათი წლით უმცროს რეჟისორ გაი რიჩისთან ქორწინების წყალობით ბრიტანულ მაღალ საზოგადოებაში მოხვედრილმა მადონამ Daily Mail-ს გამოუცხადა, რომ "ყველაფერი ინგლისური ყელში ამოუვიდა". ვეგეტარიანელი და იოგას მიმდევარი მადონა განსაკუთრებულ ბარბაროსობად ნადირობას მიიჩნევს და უმსგავსობას, რომელსაც მისი ქმარი უაილტშირის მამულში მონადირეთა წვეულებებს უწოდებს, მხოლოდ გაის სიყვარულით ითმენს.

"ინგლისური ცხოვრების წესისა და მადონას რომანი დამთავრდა," წერს Daily Mail, "მას უკვე მხოლოდ ნადირობა კი არა, აქაური ამინდი და ადამიანებიც სძულს".

თავიდან ვარსკვლავი დიდი სიამოვნებით გამოეწყო ტრადიციულ ტვიდის ტანსაცმელსა და რეზინის ჩექმებში, ახლა კი ეშინია, რომ დახოცილი ფრინველების სულები არ მოასვენებენ.

მადონა

მწერლის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება

სოლჟენიცინის ფონდის განცხადებით, ცნობილი რუსი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ალექსანდრ სოლჟენიცინის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჯერად "დამაკმაყოფილებელია". დეკემბრის ბოლოს ის ინსულტის დიაგნოზით მოსკოვის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს, მას რამდენიმედღიანი მკურნალობა ჩაუტარდა და უკვე უკეთესად გრძნობს თავს. როგორც ექიმები ამტკიცებენ, 84 წლის მწერლის სიცოცხლეს არც საავადმყოფოში მიყვანისას ემუქრებოდა საფრთხე, მაგრამ პრევენციული მკურნალობის კურსის გავლა აუცილებელი იყო. საავადმყოფოში სოლჟენიცინი მუშაობასაც კი განაგრძობდა.

ალექსანდრ სოლჟენიცინი

მარიო ჟარდელი - მსოფლიოს საუკეთესო ბომბარდირი

ლისაბონის "სპორტინგის" ბრაზილიელი ფორვარდი, მარიო ჟარდელი 2002 წლის მსოფლიოს ყველაზე შედეგიან ფეხბურთელად აღიარეს. ამის შესახებ ინფორმაცია ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გაავრცელა.

გასულ წელს ჟარდელის ყოველ ჩატარებულ მატჩში, საშუალოდ, 1,4 გოლი გაქონდა. ამ მაჩვენებლით მან ჩამოიტოვა ბოლივიელი ხოაკინ ბოტერო, რომელიც ამჟამად "ბოლივარის" ღირსებას იცავს და ხოსე ალფრედო კასტილიო ("ორიენტე პეტროლერო"). საერთო ჩათვლაში ამ ფეხბურთელთა ანგარიშზე შთამბეჭდავი შედეგია - შესაბამისად - 39 გოლი 49 მატჩში და 38 გოლი 46 შეხვედრაში ანუ, საშუალოდ, ერთ მატჩში 1,256 და 1,21 პროცენტი.

ამასთან აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჟარდელი გულშემატკივრებს შედეგიანობით არ ანებივრებს. როგორც ამ დღეებში "სპორტინგის" მწვრთნელმა, ლასლო ბოლონიმ განაცხადა: "მარიო ჯერ კიდევ საკუთარ თავს ებრძვის".

ჟარდელმა ჯერ ცოლთან განშორების შემდეგ ვერაფრით აღიდგინა ფორმა, შემდეგ კი, შეიძლება ითქვას, საყოფაცხოვრებო ტრავმაც მიიღო. ბრაზილიის მშობლიურ ქალაქ პორტალეზაში დასვენების დროს ჟარდელი აუზში ჩასვლის წინ დაეცა და ფეხი გაიჭრა.

თუმცა, პორტუგალიური სააგენტო "ლუზასთვის" მიცემულ ინტერვიუში იმ ჰოსპიტალის დირექტორმა, რომელსაც ჟარდელმა მიაკითხა, განაცხადა, რომ "დაცემის დროს ჟარდელმა ფეხთან ერთად თავიც ძლიერად დაარტყა, მაგრამ, ტომოგრაფიის შედეგების მიხედვით, ექიმებმა ვერავითარი გადახრა ვერ აღმოაჩინეს".

მანჩინის აწრიალებენ

იტალიური "ლაციოს" მწვრთნელი, რობერტო მანჩინი, შეიძლება, ახლო მომავალში რომაული კლუბის დირექტორთა საბჭოში შეიყვანონ. ამის შესახებ ცნობა "ლაციოს" დირექტორთა საბჭოს პრეზიდენტის მოვალეობის ახალმა შემსრულებელმა, უგო ლონგომ გაავრცელა. რომაელები ამჟამად ურთულეს პერიოდს განიცდიან - კლუბში არსებული არნახული ფინანსური კრიზისის გამო, თანამდებობიდან გადადგა "ლაციოს" პრეზიდენტი, სერჯიო კრანიოტი. ფინანსური კრიზისი კი გამოიწვია კომპანია "ჩირიოს" გაკოტრებამ, რომელიც "ლაციოს" უმთავრესი დამფინანსებელი იყო და რომელსაც სათავეში კრანიოტი ედგა.

"მანჩოს" ვარაუდით (ასე უწოდებენ მანჩინის იტალიაში), თუ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება, ის გახდება სერია A-ს პირველი მწვრთნელი, რომელიც ერთ კლუბში ორ საპასუხისმგებლო პოსტს შეითავსებს. "მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა," - განაცხადა მანჩინიმ.

უგო ლონგომ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ გუნდს სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს. "ორი თვის განმავლობაში ჩვენ ახალ აქციონერთა ჯგუფს გამოვძებნით, - ამბობს ლონგო, - ფეხბურთელები ხელფასს მიიღებენ და გუნდს არც ერთი მათგანი არ დატოვებს".

დააკავეს "სელტიკის" ფანები

ოთხშაბათს დააკავეს შოტლანდიის "გლაზგო სელტიკის" სამი ფეხბურთელი, რომელთა გვარებს პოლიცია საიდუმლოდ ინახავს. მათ ქურდობაში ედებათ ბრალი. ეს ინციდენტი მოხდა შოტლანდიის ერთერთ ღამის კლუბში, სადაც შოტლანდიის ჩემპიონები საშობაო საღამოზე შეიკრიბნენ.

პოლიციამ ფეხბურთელები მას შემდეგ დააკავა, რაც ერთ-ერთმა ფოტოკორესპონდენტმა თავისი კამერის დაკარგვის შესახებ განაცხადა. ნიუკასლის პოლიციამ დაკავებულთა ვინაობა ჯერჯერობით ოფიციალურად არ დაასახელა, მაგრამ ინგლისის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ინფორმაციით, საუბარია ჰოლანდიელ ფორვარდ ბობი პეტზე, შვედ მცველ იოჰან მელბიუზე და ბელგიელ ნახევარმცველ იოსე ვალგარენზე.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კლუბ "Buffalo Joe's"-დან გამოსვლისას დააკავეს "სელტიკის" რამდენიმე ფეხბურთელი. პოლიციამ ყველა მათგანი დაკითხა, სამი კი საქმის დამატებითი დეტალების გარკვევამდე განყოფილებაში დაიტოვა.

თხილამურები

კოსტელიჩების დუბლი

მოთხილამურეთა საკვირაო მსოფლიო თასის ეტაპებისთვის თვალის გადავლებისას ერთობ საინტერესო მოვლენის მოწმენი გავხდით. პირველად სამთოსათხილამურო სპორტის მსოფლიო თასის გათამაშების ისტორიაში გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ერთ დღეს ავიდნენ დედმამიშვილები – ერთმა ამ გამარჯვებით საკუთარი დაბადების დღე აღნიშნა, მეორემ კი თავისი გამარჯვება მას მიუძღვნა.

გიგა გურასაშვილი

იტალიაში, ბორმიოში ქალ მოთხილამურეთა შორის გათამაშებულ სლალომისტთა მესამე ეტაპზე ამავე ასპარეზობის ლიდერმა, ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა მეტოქეებს დიდი უპირატესობით აჯობა. სტელვიოს ტრასაზე ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ იანიცა უმალ თაყვანისმცემელთა და შეჯიბრების ორგანიზატორთა ალყაში მოექცა. ორი დაშვების ჯამში ორი წამით დაწინაურებულ ხორვატ მოთხილამურეს სახელდახელოდ გამომცხვარი უზარმაზარი ყვითელი ტორტი მიართვეს და, როგორც ჩემპიონი და 21 წლის იუბილარი, შამპანურითაც გაწუწეს.

"კარგი საჩუქარი გამომივიდა საკუთარი თავისთვის. ამაზე უკეთესს ვერც ვინატრებდი", - კმაყოფილებას ვერ ფარავდა კოსტელიჩი.

ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ დის წარმატებით ფრთაშესხმულმა ძმამ, ივიცა კოსტელიჩმაც პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი, თუმცა - ამაზე მოგვიანებით.

მსოფლიო თასის მესამე ეტაპი სხვა მხრივაც იყო საინტერესო. კოსტელიჩის დამსახურებით მეორე ადგილზე გასული ასპარეზობის დებიუტანტი, ავსტრიელი ელიზაბეტ გერგლი, არც მეტი არც ნაკლები, სწრაფდაშვებაში 1960 და 1964 წლების ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსნის, ტროდლ ჰეჩერის ქალიშვილია. ლამის საპრიზო ადგილის მიღმა დარჩენა მოუწია გათამაშების ერთერთ ლიდერს, მსოფლიოს ჩემპიონს, შვედ ანია პარსონს. მის ფეხდაფეხ მდევარი ფინელი ტანია პოუტიაინენი შვედს, სულ რაღაც, 0.01 წამით ჩამორჩა. სკანდინავიელმა კი ტრასა მესამემ გადაკვეთა. წინა დღეს გიგანტურ სლალომში ამავე დისციპლინის მსოფლიოს ჩემპიონმა, შვეიცარიელმა სონია ნეფმა სეზონის პირველი გამარჯვება სწორედ პარსონის დამარცხებით აღნიშნა, ამასთან - საკმაოდ დამაჯერებლად.

შვეიცარიელმა გიგანტურ სლალომში გამარჯვებით სამსოფლიო თასო კარიერის მე-15 გამარჯვება იზეიმა.

კვარცხლბეკის ბოლო საფეხურზე (საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე) ავიდა ავსტრიელი მიხაელა დორფმაისტერი. ნეფსა და დორფმაისტერს შორის კი (მე-2 ადგილი) ანია პარსონი ჩადგა.

სლოვენიაში სლალომში, ქალების პარალელურად, ვაჟებიც ასპარეზობდნენ. კრაინსკა გორაში ორი დაშვების ჯამში ივიცამ დის წარმატება გაიმეორა.

"ძალზე სპეციფიური და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვე. მეც და ჩემმა დამაც ჩვენს ოჯახს ორმაგი სიხარული მივანიჭეთ. ერთი სიტყვით, მიზეზი ნამდვილად გვაქვს, რომ დღევანდელი დღე აღვნიშნოთ, - როდესაც იანიცას მოგება მაცნობეს, სიხარულისგან ვხტოდი. ვერაფერს იტყვი, მაგარი და მყავს. ბედნიერი ვარ, რომ მან საკუთარ დაბადების დღეზე მოიპოვა ეს გამარჯვება", - ამაყობს ივიცა.

მოკლედ

ფეხბურთი. ტურინის "იუვენტუსმა" ახალი კონტრაქტები გაუფორმა თავის ვარსკვლავებს - ედგარ დავიდსს და ალესანდრო დელ პიეროს. დავიდსი, რომელთან განშორებასაც "იუვე" არცთუ შორეულ წარსულში გეგმავდა, ტურინულ კლუბში 2006 წლამდე დარჩება. რაც შეეხება დელ პიეროს, მისი კონტრაქტი წლინახევრის შემდეგ იწურება, მაგრამ "ბებერმა ქალბატონმა" თადარიგი ადრევე დაიჭირა და დელ პიერო კლუბში 2008 წლამდე დარჩება. ფეხბურთელი ამ ხნის განმავლობაში 16 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ესპანეთის ნაკრებისა და "ბარსელონას" ფეხბურთელი, ლუის ენრიკე იმედოვნებს, რომ ტრავმის დასაძლევად ოპერაცია არ დასჭირდება. ქუსლის ტრავმის გამო, ფეხბურთელი მინდორზე ოქტომბრის შემდეგ არ გამოჩენილა. ენრიკეს საოპერაციო მაგიდა აშინებს და ფიქრობს, რომ 15 დღეში მინდორს ქირურგიული ჩარევის გარეშე დაუბრუნდება. "15 დღის შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ, მაგრამ მწამს, რომ ლუის ენრიკე მინდორს ოპერაციის გარეშე დაუბრუნდება", - განაცხადა კატალონიური კლუბის ექიმმა პრუნამ. თვითონ ლუის ენრიკე ამჟამად თავს კარგად გრძნობს, რაც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

ფეხბურთი

კობიაშვილს არმია უხმობს

პაატა თოთაძე

სეზონის დაწყებამდე სატრანსფერო ბაზარზე არნახულად გააქტიურებულმა მოსკოვის ცსკა-მ საქართველოს ნაკრების და გერმანიის "ფრაიბურგის" ფეხბურთელის, ლევან კობიაშვილის ყიდვა გადაწყვიტა.

ლევან კობიაშვილი

ამის შესახებ არმიული კლუბის ხელმძღვანელობამ გუშინ ოფიციალურად განაცხადა. "კობიაშვილი მშვენიერი ფეხბურთელია. მომავალ სეზონში ის უნდა მოვახერხოთ, რაც წლევანდელ სეზონში ვერ შევძელით - ანუ ჩემპიონები უნდა გავხდეთ. ვფიქრობ, ამ საქმეში ლევანის დახმარება დაგვჭირდება", - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ცსკა-ს მწვრთნელმა, ვალერი გაზაევმა.

რუსული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, არმიელები უკვე დაუკავშირდნენ "ფრაიბურგს" კობიაშვილის შეძენის წინადადებით. როგორც ცნობილია, მხარეებმა უკვე მიაღწიეს გარკვეულ შეთანხმებას და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ქართველი ნახევარმცველი თებერვლიდან მოსკოვში დაიდებს ბინას. გერმანული საინფორმაციო წყაროების მიხედვით, "ფრაიბურგი" ჯერჯერობით თავს იკავებს ქართველი ფეხბურთელის გაყიდვისგან, რადგან რუსების მიერ შეთავაზებული თანხა არ აკმაყოფილებს. თუმცა, მოლაპარაკებები კლუბებს შორის გრძელდება და, გერმანელთა ვარაუდით, წარმატებით დასრულდება.

როგორც ჩანს, არმიელებს მართლაც გადაწყვეტილი აქვთ "სპარტაკისა" და "ლოკომოტივის" ჰეგემონიის დამხობა. წლეულს ცსკა-მ, გარკვეულწილად, გაართვა თავი ამ ამოცანას, რაშიც მას "სპარტაკის" კრიზისიც დაეხმარა. მომავალ წელს კი სულ სხვაგვარად იქნება საქმე. სატრანსფერო პერიოდში, ბუნებრივია, "სპარტაკი" აქტიურობს და რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელის შეძენა მოასწრო კიდეც. გადაწყვეტილია ვლადისლავ ვაშჩუკის ამბავიც. მართალია, უკრაინელებს ამის დაჯერება არ უნდოდათ, მაგრამ ვაშჩუკს მართლაც მოუწერია ხელი "სპარტაკთან" კონტრაქტზე. ამჟამად კიეველები ფეხბურთელის დისკვალიფიკაციით იმუქრებიან, რადგან კონტრაქტი მას "დინამოსთან" კიდევ ორი წლით აკავშირებდა. თავად ფეხბურთელის განცხადებით, რუსები უკრაინელებთან კომპრომისს მოძებნიან და მასაც თამაშის საშუალება მიეცემა. მის გარდა, "სპარტაკში" სამი ბრაზილიელი და ორი ნიგერიელი ისინჯება.

ამ ფონზე ცსკა-ს აქტიურობა სულაც არაა გასაკვირი. "სპარტაკის" მსგავსად, არმიელებმა უკვე მოასწრეს ერთი მაღალი კლასის ნახევრმცველის შეძენა. ამიერიდან პრაღის "სპარტას" აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი, ირჟი იაროშიკი არმიელთა ღირსებას დაიცავს. სულ მალე კი მას, შესაძლოა, ლევან კობიაშვილიც შეუერთდეს.

სემი კუფურის ტრაგედია

"ბაიერნის" მცველს 15 თვის ქალიშვილი გარდაეცვალა

კუფური პატარა გოდივასთან ერთად

სემი კუფური

ტრაგედია ასე დატრიალდა: სემი კუფურმა სადღესასწაულო დღეები განაში, აკრაში მდებარე ვილაზე ოჯახთან ერთად გაატარა. ხუთშაბათს ღამით ფეხბურთელი ოჯახს დაემშვიდობა და მიუნხენში დაბრუნდა. მისი მეუღლე ფრანსისკა, პატარა ქალიშვილთან, გოდივასთან ერთად მიუნხენში უახლოეს დღეებში აპირებდა ჩასვლას.

პარასკევი, დღის 11 საათი: გერმანიაში გამგზავრებამდე კუფურის მეუღლე ნათესავის მოსანახულებლად მიემგზავრება, რომელიც აკრადან 300 კილომეტრის დაშორებით, კუმასიში ცხოვრობს. ფრანსისკამ უკვე ჩაალაგა ბარგი, პატარა გოდივაც უკვე ჩასვა მანქანაში. გამგზავრებამდე კიდევ ერთხელ დაბრუნდა სახლში - ჩანთა დარჩა.

არავინ იცის, იყო თუ არა ბავშვი დაბმული, დარჩა თუ არა ფრანსისკას მანქანის კარი ღია, ფაქტი ერთია, რომ გოგონა მანქანიდან გადმოძვრა. პოლიცია ვარაუდობს, რომ პატარას ყურადღება სახლთან მდებარე აუზის თავზე დაკიდებულმა ფერადმა ბუშტებმა მიიპყრო. გოდივა აუზისაკენ გაემართა და... ალბათ, ბუშტებთან ხელით შეხებას ცდილობდა, როდესაც აუზში ჩავარდა. როდესაც კუფურის მეუღლე მანქანასთან დაბრუნდა, ბავშვი აღარ დახვდა, ის აუზისაკენ გაემართა, სადაც ნახა კიდევაც თავისი 15 თვის ქალიშვილი წყალში, ბუშტებს შორის გაუნძრევლად მწოლიარე.

დედა-შვილი საავადმყოფოში ფეხბურთელი ენტონი იებოას ბიძამ წაიყვანა საკუთარი მანქანით. იებოა და კუფური აკრაში გვერდიგვერდ სახლებში ცხოვრობენ და ახლო მეგობრები არიან. ექიმები უძლურნი არიან, გოდივას გადარჩენა აღარ შეიძლება. ფრანსისკა შოკშია, მას არ შეუძლია, რომ მომხდარი ქმარს შეატყობინოს. იებოას ბიძა ლონდონში რეკავს და ენტონი იებოას სთხოვს, რათა მომხდარის შესახებ სემი კუფურს აცნობოს.

"სემი უმცროსი ძმასავით არის ჩემთვის. ძალიან მიძნელდებოდა მასთან დარეკვა. ყურმილის აღებამდე წითელი ღვინო დავლიე, რათა სითამამე მომმატებოდა. სემი მარტო იყო სახლში. როდესაც მომხდარის შესახებ ვუთხარი, ისეთ დღეში ჩავარდა, რომ შემეშინდა, რამე არ მოსვლოდა", - ჰყვება ენტონი იებოა გაზეთ "BILD"-თან საუბარში.

სემი კუფური აკრაში იმავე დღეს გაფრინდა "ბაიერნის" კუთვნილი თვითმფრინავით. სახლში მას დახვდა მკვდარი ქალიშვილი, რომელსაც სულ რაღაც 36 საათის წინათ გამოემშვიდობა.

თანაგუნდელის ტრაგედიით შოკირებულები არიან "ბაიერნის" ფეხბურთელები და ხელმძღვანელები. ჯოვანი ელბერი იხსენებს, რომ მსგავსი ხიფათის წინაშე თავადაც მდგარა, როდესაც მისი 5 წლის ქალიშვილი ასევე აუზში ჩავარდა, თუმცა ელბერმა მისი გადარჩენა შეძლო.

4 წლის ქალიშვილი დაკარგა გერმანიის ნაკრებისა და "ჰამბურგის" ყოფილმა ვარსკვლავმა, მანფრედ კალცმაც. ეს 1978 წელს მოხდა - გოგონას ქუჩაში მანქანამ დაარტყა, ის ადგილზე გარდაიცვალა. კალცი იხსენებს: "ეს საშინელება იყო. იმ დღეს ვერასოდეს დავივიწყებ". და მაინც, 2 დღის შემდეგ კალცი "ჰამბურგის" შემადგენლობაში "დუისბურგის" წინააღმდეგ მატჩში თამაშობდა. "თითოეულმა ფეხბურთელმა თავადვე უნდა გადაწყვიტოს, თუ როდის დაიწყებს თამაშს. ჩემთვის ეს გარკვეულწილად თერაპია იყო. ალბათ, სხვა რამეზე მსურდა გადართვა. რაც უნდა სულელურად ჟღერდეს ჩემი სიტყვები, ცხოვრება გრძელდება, დრო ყველაფრის მკურნალია", - ამბობს კალცი.

რამდენი დრო დასჭირდება ამ ტრაგედიის გადასატანად სემი კუფურს, ძნელი სათქმელია. ალბათ, მას დარჩენილი 2 შვილი შეუმსუბუქებს ამ მდგომარეობას. ქორწინებამდელი ურთიერთობებიდან მას კიდევ ორი გოგონა ჰყავს - 8 წლის გლორია და 2 წლის ტრეისი. 15 თვის გოდივა მისი და მისი მეუღლის ერთადერთი შვილი იყო.

რომარიო "ფლამენგოში" ბრუნდება

რომარიო

REUTERS

რიო დე ჟანეიროს "ფლუმინენსეს" წარმომადგენელთა ინფორმაციით, ბრაზილიური ფეხბურთის სუპერ-ვარსკვლავი, ვეტერანი რომარიო, შესაძლოა, თავის ყოფილ კლუბ "ფლამენგოს" დაუბრუნდეს.

რომარიო ამჟამად 36 წლის არის. "ფლუმინენსეში" ის მიმდინარე სეზონის დასაწყისში გადავიდა. ამჟამად მისი კონტრაქტი ამოიწურა, "ფლუმინენსესთან" ახალი ხელშეკრულების გაფორმება კი არც თავად ფეხბურთელს სურს და არც - მის კლუბს.

ის, რომ "ფლამენგომ" რომარიოს დაბრუნება გადაწყვიტა, საკმაოდ უცნაურია: მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის გმირი "ფლამენგომ" 1999 წლის ბოლოს უდისციპლინობისთვის დაითხოვა. რომარიო მაშინ "ვასკო და გამაში" გადავიდა და კლუბს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. მიუხედავად იმისა, რომ თავად რომარიო კომენტარისგან თავს იკავებს, მისი აგენტი არ უარყოფს, რომ მას "ფლამენგოს" წარმომადგენლები დაუკავშირდნენ, თუმცა, მისივე თქმით, ამ მომენტისათვის არაფერია გადაწყვეტილი.

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელ ხანებში რომარიოს გადაბირება სურდა მის ყოფილ კლუბს, ესპანურ "ბარსელონასაც".

მომავალ კვირას ბრაზილიის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება

კანდიდატებს შორის არიან: ოლივეირა, ლუშენბურგო, პარეირა, გომეში, კულპი და დუნგა

აკა ტონია

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, რიკარდო ტეიშეირამ განაცხადა, რომ მომავალ კვირას ქვეყნის ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობას დაასახელებს.

ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის შემდეგ უმწვრთნელოდ არის. ლუის ფელიპე სკოლარი მსოფლიოს პირველობის დასრულებისთანავე გადადგა, მისი შემცვლელი კი დღემდე არ დაუნიშნიათ. მსოფლიოს თასის მეხუთედ დაუფლების შემდეგ "სელესაომ" 2 ამხანაგური მატჩი ჩაატარა. აგვისტოში პარაგვაის ნაკრების წინააღმდეგ (0:1) გუნდს კვლავ სკოლარიმ უხელმძღვანელა, ხოლო კორეასთან მატჩში (3:2) ბრაზილიის ნაკრებს ვეტერანი მწვრთნელი, მარიო ზაგალო ჩაუდგა სათავეში.

12 თებერვალს "სელესაო" ჩინეთის ნაკრებს სტუმრობს ამხანაგურ შეხვედრაში, იმ დროისათვის კი გუნდს უკვე ეყოლება ახალი მწვრთნელი. 29 მარტს ბრაზილიელები პორტუგალიას შეხვდებიან, რომლის მთავარი მწვრთნელია ლუის ფელიპე სკოლარი.

რიკარდო ტეიშეირამ ახალი მწვრთნელის დანიშვნის საკითხის გაჯანჯლება იმით ახსნა, რომ ის ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის დასრულებას ელოდა, რათა უკეთ დაკვირვებოდა მწვრთნელობის სავარაუდო კანდიდატებს. ბრაზილიის ჩემპიონი წელს "სანტოსი" გახდა, რომელსაც ემერსონ ლეაო წვრთნის, მაგრამ ლეაოს ნაკრებში წასვლა, პრაქტიკულად, გამორიცხულია, რადგან 2001 წელს ის უკვე ედგა სათავეში "სელესაოს" და კრიტიკის ქარცეცხლშიც მოექცა, რის შემდეგაც ის ივნისში დაითხოვეს. ცოტა ხნის წინათ ლეაოს ჰკითხეს: აქვს თუ არა ნაკრებში დაბრუნების სურვილი, რაზეც მან უპასუხა: "არა, არა, მასთან (*იგულისხმება ტეიშეირა*) არავითარი კონტაქტი არ მსურს".

ნაკრების მწვრთნელის პოსტისათვის ყველაზე რეალური კანდიდატები "სან პაულუს" თავკაცი, ოსვალდო დე ოლივეირა, "კორინტიანსის" კარლოს ალბერტო პარეირა და "კრუზეიროს" მწვრთნელი, ვანდერლეი ლუშენბურგო (*რაც საკმაოდ გასაკვირია*) არიან.

ლუშენბურგოს, თითქმის, ემერსონ ლეას იდენტური ისტორია აქვს. ბრაზილიის ნაკრებს ის 1998 წლის აგვისტოდან 2000 წლის ოქტომბრამდე ედგა სათავეში. მას ბევრს აკრიტიკებდნენ, როგორც ნაკრების წარუმატებელი თამაშის, ასევე ფინანსური მაქინაციების გამო. ამბობდნენ, რომ ლუშენბურგო ფეხბურთელების აგენტებისაგან ქრთამებს იღებდა და შემდეგ ამ მოთამაშეებს ნაკრებში იწვევდა.

რაც შეეხება ოლივეირას: ლუშენბურგოს დათხოვნის შემდეგ მას შესთავაზეს ნაკრების მწვრთნელის პოსტი, თუმცა მაშინ მან უარი განაცხადა და ეს გადაწყვეტილება საკუთარი გამოუცდელობით ახსნა. მას შემდეგ 2 წელი გავიდა და ოლივეირაც აღარ ყოყმანობს.

კარლოს ალბერტო პარეირა - ადამიანი, რომელმაც 1994 ბრაზილიის ნაკრებს მეოთხედ მოაპოვებინა მსოფლიოს თასი. პარეირას "სელესაოში" დაბრუნებაზე უარი არ განუცხადებია. თუ ტეიშეირა მას კარგ პირობებს შესთავაზებს, სავსებით შესაძლებელია, რომ მომავალ კვირას სწორედ ის მოგვევლინოს ბრაზილიელთა მწვრთნელად.

ჩამოთვლილი კანდიდატების გარდა, კიდევ არის სამი ვარიანტი: ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მცველი და "პარი სენ ჟერმენის" უწინდელი თავკაცი, რიკარდო გომეში, "პალმეირასის" ყოფილი მწვრთნელი, ლევირ კულპი და ბრაზილიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, კარლოს დუნგა.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენებას დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავი?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქვენის "მითვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

TV პროგრამა 7 იანვარი

რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
08.15 მულტფილმი
09.15 საბავშვო ფილმი „უცხოპლანეტელი“
09.30 მულტფილმი „კონკია“ მე-2 ნაწილი
11.15 რუსული მხ. ფილმი „ადამიანები კაპუცინების გულვარიდან“
12.50 მხ. ფილმი „ვირთხების რბოლა“
14.40 მხ. ფილმი „გლადიატორი“
17.20 „პოპულარული კლასიკური მუსიკის კონცერტი“ 1-ლი ნაწილი
18.00, 21.00 კურიერი
18.15 „პოპულარული კლასიკური მუსიკის კონცერტი“ მე-2 ნაწილი
19.35 მხ. ფილმი „კავკასიელი ტყვე ქალი“
22.00 მხ. ფილმი „ვერის უბნის მელოდიები“
23.45 მხ. ფილმი „თაბგზე ნადირობა“

პირველი არხი

09.00 მულტსერიალი „თოვლის პაპა“
09.25 მხ. ფილმი „ბარნი და მისი პატარა უსიამოვნებანი“
10.45 „მხიარული კარუსელი“
11.25 მხ. ფილმი „საშობაო ღვეზელი“
13.10 „მარკოზის სახარება“ (კითხულობს გრიგორ ხარაბაძე)
14.05 მულტფილმი „შობას გილოცავ, პატარა მუნკი“
15.00, 20.00 მოამბე
15.15 მხ. ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი“
16.35 მღერის ნატო გელაშვილი
17.25 „გილოცავთ შობა-ახალ წელს“ (რ. ჩხიკვაძე)
18.00 მოკლემეტრაჟიანი ტელეფილმი „ალილო“
18.30 გასტი-ბუბუ
18.50 „და არს მუსიკა“
19.10 „ჰოლივუდის ვარსკვლავები“ - შონ კონერი
19.25 ტელეთამაში „იმღერე რამე“
20.35 სატ. ფილმი „პილიგრიმოგა ევროპიდან იერუსალიმში“
21.40 ბიძინა კვერნაძის შემოქმედებითი საღამო
23.10 გერიანიძის კლიპი
23.15 მხ. ფილმი „ოპერაცია წმინდა იანუარიუსი“

პირველი სტერეო

08.00 ტროლა
08.20 ბან. კვირის საუკეთესო ლექსები
11.00 ბან. მუსათეული
11.45 - 13.45 პაუზის გარეშე
13.45 მუსიკა
17.00 ფილმი კომედია „ადამიანები შავებში 2“
19.00 ბან. პაპარაცი
19.30 ვიდეორადიო
21.00 ბან. ქართული მუსათეული
21.45 აბა გამოიცანი კინოორგანა
22.45 მოკლე სეანსი
23.00 სველი ხაზი
00.00 ფილმი გრავო „შიშის ოთახი“
01.45 ფილმი ღამურა „გამძვევებელი“
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.15 მულტფილმი
19.30 „ორატორი“
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 ამბები ჩვენზე
20.45 მუსიკალური ოქტაბონი
21.30 ასპარეზი
22.10 მხ. ფილმი „მეექვსე ელემენტი“

იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 ალსავალი
08.30 მხ. ფილმი „ვიცეკვოთ პატარავ“
10.25 დოკ. სერიალი
17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
10.50 მხ.ფ. „ძორწილი“
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. „შობაზე დავბრუნდები“
22.30 ძველი კინო - მხ. ფილმი „სასიყვარულო წერილი“
00.50 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „პოლიციის აკადემია“
13.30 მხ. ფილმი „ბარი ველური კოიოტი“
15.00 მხ. ფილმი „მუმია“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „მრგოლელი“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „პოლიციის აკადემია 2“
22.30 მხ. ფილმი „სულელები“

მეცხრე არხი

09.00, 09.50, 10.45, 11.50, 12.30, 14.30, 16.15, 17.30, 19.50, 20.30, 21.45, 00.00, 01.50 მუსიკა
09.20 მულტფილმი „შოგა“
10.00 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“
12.50 მხ. ფილმი „ახოვრება კადრს მიღმა“
14.45 ქართ. მხ. ფილმი „ანგელოზის გადაფრენა“
16.30 დოკ. ფილმი „ველური გუნება“
17.45 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
18.35 მულტფილმი „მეფის ასული შაჰრაზადი“
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“ 87-ე სერია
20.00 ფრანგი მხატვრები - პოლ სეზანი
21.00 რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“ მე-7 სერია
21.30 „მსოფლიო კულტურის საგანძური“. „სერენგეტი, შემოქმედების სამყარო. ტანზანია“.
22.10 მხ. ფილმი „დუეტები“
00.20 ქართ. მხ. ფილმი „ვერის უბნის

VII არხი

09.30 „აჩიკუდა“
09.55 „გედნიერი ერი“
10.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.20 მელოდია
10.50 მხ.ფ. - „სუპერ დეივი“
12.15 მოგზაურები
12.50 „ბიორითმი“
13.10 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.50 „ბაემანი“ - მიხეილ ცაბარელი
14.50 დისნეი და მისი მეგობრები
15.10 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
18.50 „აჩიკუდა“
19.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.00 „ღამის კაპარიზი“
21.05 მოგზაურები
21.40 „კინოკლუბი“ - „შეგნება“
23.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
00.15 „ბიორითმი“

1 ОРТ

08.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости
08.10 Худ.фильм „Даниил - князь Галицкий“
09.55 Мультфильм „По следам Бременских музыкантов“
10.15 Дог-шоу
11.10 „Непутевые заметки“
11.30 Пока все дома
12.05 „Властелин вкуса“
12.55 Комедия „Московские каникулы“
14.35 „Папин „Ералаш“
15.15 В.Пельш в программе „Поле чудес“
16.15 „Клуб путешественников“
16.55 „Ералаш“
17.10 Худ.фильм „Сказ про то, как царь Петр арапа женил“
19.15 Концертная программа „Кубок юмора“
22.00 Худ.фильм „Русские в городе ангелов“
23.55 „Машина времени“. Концерт в „Олимпийском“
01.55 Лирическая комедия „Миленький ты мой...“

РТР

07.40 Мультфильмы „Приходи на каток“, „Мисс Новый Год“
07.55 Фильм-сказка „Руслан и Людмила“
10.25 Вера, надежда, любовь
11.20 „В поисках приключений“. Рождественский выпуск
12.20 Мультсериал „Джеки Чан“
13.00 Худ.фильм „Анискин и Фантомас“.
14.30 Вести-Москва
15.00 Вести
15.20 Поздравление Патриарха Московского и Всея Руси Алексия II
15.30 Худ.фильм „Дикарка“
17.25 „Кубок юмора-2003“
20.00 „Бенефис „Городка“
21.00 Вести
21.25 Местное время. Вести-Москва
21.40 А.Пугачева. „Рождественские встречи XX века“
00.30 Худ.фильм „Танцуй со мной“

НТВ

07.50 Фильм-детям „Василиса Прекрасная“
09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 Сегодня
09.05 Комедия „Жандарм и инопланетяне“
10.35 Путешествия натуралиста
11.10 Шоу „Фактор страха“
12.05 „Растительная жизнь“
12.35 Вы будете смеяться!
13.05 „За гранью возможного“. „Прыжок в бездну“
14.05 Комедия „Гараж“
15.55 Вкусные истории
16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 Сегодня
16.05 Своя игра
17.20 „Истории охотника за крокодилами“
17.45 Ток-шоу „Принцип домино“
18.05 Ток-шоу „Принцип домино“. (Продолжение)
19.05 Игра „Один за всех“
20.25 Комедия „Башмачник“
22.20 Комедия „1941“
00.25 Сериал „Воры“
01.10 Худ.фильм „34-й скорый“

სკანდინავიური კროსვორდი



საგაზეთო ქაღალდი
ფასდაკლებით
შ.პ.ს 26-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან
საშობაო ფასდაკლება
15 იანვრამდე
ფასი -580$-მდე
ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

DERTOUR-ი გთავაზობთ
DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიურო გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე. სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით. Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, საზამთრო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ევრო ვიზები.
DERTOUR
მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება
თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიზებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,
მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.
"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.
"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.
წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.
იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.